ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მეგრელაძე ნინო

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში

სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

თბილისი 2020

სარჩევი

ანოტაცია 1
Annotation 2
შესავალი 3
ევროკავშირის შრომის ბაზრის მიმოხილვა 8
NEET 14
2008 წლის ეკონომიკური კრიზისი და მისი გავლენა ახალგაზრდების უმუშევრობაზე 19
დროებითი კონტრაქტები 23
ახალგაზრდების ინტეგრაცია შრომის ბაზარზე 26
ახალგაზრდების უმუშევრობა ევროკავშირის ქვეყნებში 34
ახალგაზრდების უმუშევრობა გერმანიაში 40
ახალგაზრდების უმუშევრობა საბერძნეთში 48
ახალგაზრდების უმუშევრობა იტალიაში 52
დასკვნა 56
გამოყენებული ლიტერატურა 60

ანოტაცია

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და მისი გამომწვევი მიზეზები. არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა თუ სტატიის, ასევე, სტატისტიკური მონაცემების კომპლექსური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას ევროკავშირში; არაერთ განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით აქ ახალგაზრდების უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე ფიქსირდება (2019 წელს 15.1%). უნდა ითქვას, რომ ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია წევრ სახელმწიფოთა შორის უზარმაზარი განსხვავებით, კერძოდ, თორმეტ ქვეყანაში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი საშუალო დონეზე მაღალია და მათგან ნაწილში 30 პროცენტსაც კი აღემატება (ესპანეთი, საბერძნეთი).

კონკრეტული ქვეყნების დონეზე ახალგაზრდების უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ მრავალმხრივი და სპეციფიკურია: ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა, საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებანი, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, ახალგაზრდების განათლების, აქტიურობისა და კვალიფიკაციის დონე, ეკონომიკის სპეციალიზაცია, შიდა რეგიონული უთანასწორობა, კერძო სექტორის მზადყოფნა, შექმნას სამუშაო ადგილები და დაასაქმოს ახალგაზრდები.

ცალკე აღსანიშნავია 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი. მისი ზეგავლენა ცალსახაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი აღმოჩნდა არა ახალგაზრდების უმუშევრობის გამომწვევი მიზეზი, არამედ მხოლოდ კატალიზატორი იმ პრობლემების გაღრმავებისა, რომელიც უკვე კრიზისამდე არსებობდა ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყენაში.

ამ ფონზე ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიებები თუ პროგრამები არაეფექტური აღმოჩნდა, უმთავრესად იმის გამო, რომ ისეთი კომპლექსური პრობლემის გადაჭრისთვის, როგორიც ახალგაზრდების უმუშევრობაა, საჭიროა ქვეყანაში ძირეული ცვლილებების განხორციელება მრავალი მიმართულებით და არა ოცდაშვიდი სხვადასხვა განვითარების დონის, შრომის ბაზრისა თუ ინტერესების მქონე

ქვეყანაზე გათვლილი (ისიც არასაკმარისად დაფინანსებული) ცალმხრივი პროგრამების გატარება.

Annotation

The research paper describes the situation in European Union regarding to the youth unemployment and its provoking reasons. Numerous research papers and articles, as well as the results of intensive analysis of statistical data, found out that this is the complex problem. Comparing to the other developed countries, here the rate of youth unemployment is very high (15.1% in 2019). It must be admitted, that the cause of the higher rate is the huge difference between the member states. In particular, the rate of youth unemployment is higher than the average rate in twelve states. In some cases the rate is higher than 30% (Spain, Greece).

The Provoking reasons of youth unemployment is various and specific depending on the particular state: the general economic condition, the characteristics of education system, the labor market situation, the rate of youth education, activities and qualifications, specialization of economy, regional inequality, the readiness of private sector, create new workplaces and employ the youth.

The global financial crises of 2007-2008 is also should be mentioned. The Impact of crises is obvious, however it must be mentioned, that this crises was not the cause of the youth unemployment, but the catalyst of the problems which were arisen in EU countries even before the crises.

Taking into account the background, the arrangements and programs provided by the EU was ineffective. In order to solve the youth unemployment problem it is important to provide the fundamental changes and not only the unilateral programs which are created for twenty seven countries with different development rate, labor market and interest.

შესავალი

მოსახლეობა შეიძლება დაიყოს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფად ამა თუ იმ კრიტერიუმის მიხედვით, მაგალითად: სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის და სხვა.

ძირითადად, საერთაშორისო ლიტერატურაში ასაკის მიხედვით მოსახლეობის დაყოფისას ახალგაზრდობა განიხილება, როგორც 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი. მაგრამ, ზოგადად ახალგაზრდების განხილვისას გამოყოფენ 16-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს.

ახალგაზრდობა არის ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც სოციალიზაციის პროცესს გადის, იღებს განათლებას, ემზადება შრომით პროცესში ჩართვისთვის და საზოგადოებაში სოციალური როლის შესრულებისთვის. ეს არის დრო როდესაც ადამიანი ითვისებს უამრავ ინფორმაციას, მიისწრაფვის, დაიმკვიდროს საკუთარი თავი საზოგადოებაში.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემებს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ეფექტები ჰქონდეს, როგორც ეკონომიკისთვის (ახალგაზრდების დასაქმების გავლენა ეკონომიკურ თუ სოციალურ განვითარებაზე ნათელია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით (ILO), თუ ახალგაზრდების უმუშვრობის მაჩვენებელი გაუთნაბრდა სხვა ასაკობრივი ჯგუფის უმუშევრობის საშუალო დონეს, საერთაშორისო მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) გაიზრდება 4.4 – 7.0 პროცენტით), ასევე, მათი კეთილდღეობისთვის. ეს ასაკობრივი ჯგუფი შეიძლება განვიხილოდ, როგორც ყველაზე საშიში ჯგუფი საზოგადოებაში, რადგან საზოგადოებრივ მოვლენებში ინტეგრაციის შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი ჩართვა ისეთ პროცესებში, როგორიცაა: კრიმინალი, ნარკოტიკები და ა.შ. ამავე დროს, იზრდება მენტალური პრობლემები, თვითმკვლელობები და ა.შ., რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გარემოებაზე, რომ თუკი

მთავრობა ზედმეტად გულგრილად მოეკიდება ახალგაზრდების დასაქმების საკითხს, ეს რეჟიმის შეცვლადაც კი შეიძლება დაუჯდეს ქვეყანას.

მეორე მხრივ, ასალგზარდების დასაქმებას დადებითი ეფექტები აქვს როგორც ეკონომიკისთვის, ასევე, ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის. საზოგადოებრივი თვალსაზრისით ახალგაზრდების დასაქმება მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის საზოგადაოებრივ მოვლენებში მონაწილეობას, ინტეგრაციას, სოლიდარობას და ა.შ. ახალგაზრდებისათვის ღირსეულშემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნას დადებითი გავლენა აქვს სიღარიბის შემცირების კუთხით. ახალგაზრდა კვალიფიციური სამუშაო ძალის ეკონომიკის მწარმოებლურ სექტორში ჩართვის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისათვის და საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა თუ მწარმოებლურობის შენარჩუნებისა და შემდგომი ზრდისათვის.

ახალგაზრდების უმუშევრობას გრძელვადიანი ეფექტის მოხდენა შეუძლია დეპრესიისა თუ სხვა მენტალური ავადმყოფობების სახით, რომელიც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება პიროვნების ცხოვრებაზე. როდესაც ადამიანს არ აქვს სხვების მსგავსად დასაქმებასა თუ საარსებო საშუალებებზე წვდომა, ამ გარემოებას იგი ყველაზე უარეს შემთხვევაში საზოგადოებისაგან გარიყულობამდე, თვითდაზიანების მიყენებამდე და თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს. თუ ახალგაზრდას არ გააჩნია არანაირი სამუშაო გამოცდილება, მისი დასაქმების ალბათობა ძალიან დაბალია, რამაც შესაძლოა, უარეს შემთხვევაში, გრძელვადიანი უმუშევრობა გამოიწვიოს, ეს კი ზრდასრულობის ადრეულ ეტაპზევე შედარებით ხელმოკლეობას გულისხმობს. „ახალგაზრდა ზრდასრულებში უმუშევრობისა და ფსიქოლოგიური ტანჯვის“ შესახებ სამეცნირო ნაშრომში აღნიშნულია - ახალგაზრდები შრომის ბაზარზე იმიტომ არიან დაუცველნი და ადვილად მოწყვლადნი, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი აუცილებელი გამოცდილება და, უმეტეს შემთხვევაში, არც - განათლება, რომ მათ სასურველად მიჩნეული სამუშაოზე მოწყობა შეძლონ, ნაცვლად დაბალ თუ მინიმალურად ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებისა. როდესაც საქმე ეხება გრძელვადიან უმუშევრობას, ახალგაზრდები უდიდესი რისკის წინაშე აღმოჩნდებიან, რამდენადაც შესაძლებელია, ამან გავლენა იქონიოს არა მარტო ადრეული, არამედ გვიანდელი

ზრდასრულობის პერიოდში მათი ცხოვრების მიმდინარეობაზე. **(Hammer, 2003)** შვედეთში 1996 წელს ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევის თანახმად, უმუშევარი ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, დასაქმებული ახალგაზრები თავიანთი ცხოვრებით კმაყოფილებას გრძნობენ **(Hagquist & Starrin, 1996).**

ახალგაზრდების უმუშევრობას სერიოზული გრძელვადიანი (უარყოფითი) შედეგების მოტანა შეუძლია ახალგაზრდებისათვის, თუ დროულად არ დაიწყო მისი მოგვარებისათვის ზრუნვა და ამ პრობლემის გადაჭრა. ახალგაზრდიბს უმუშევრობა არა მხოლოდ ახალგაზრდებზე ახდენს უარყოფით გავლენას, არამედ იგი არასასურველი მოვლენაა მთლიანად საზოგადოებისა და მთავრობისათვის. ეკონომიკური თვალსაზრისით გარდა იმისა, რომ უმუშევარ ახალგაზრდებს სახელმწიფო ბიუჯეტში არ შეაქვთ თავიანთი წილი გადასახადების სახით, მათი უმუშევრობის პერიოდში მიღებული დახმარება ზრდის სახელმწიფოს მიერ გაწეულ სოციალურ დანახარჯებს. იგი პრობლემაა დაბალი საგადასახადო შემოსავლებისა და დაკარგული წარმოების მხრივ (lost production), ასევე, ზრდის შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილებისა პრობლემებს, აუარესებს სოციალურ პირობებს.

ახალგაზრდების უმუშევრობა განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, მას შემდეგ, რაც არსებობს შრომის ბაზრის შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემები **(Tahtinen J., გვ.5, 2019).** მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე, მოსახლეობის კეთილდღეობზაზე.

არსებობს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი თუ ოფიციალური გამოკვლევა ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის შესახებ, მათ შორის, - თავად ევროკავშირის მიერ მომზადებული კვლევები. ევროპაში ახალგაზრდების უმუშევრობის მიმდინარე სიტუაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა. რამდენადაც ახალგაზრდების უმუშევრობა აქტუალური და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი გამოწვევაა, მასთან დაკავშირებით მრავალგვარი მონაცემია ხელმისაწვდომი. თუმცა, პრობლემა ისაა, რომ გამოკვლევები ზოგჯერ უმუშევრობაზეა (საზოგადოდ) ორიენტირებული, ხოლო ახალგაზრდების უმუშევრობა განიხილება, როგორც მეორეხარისხოვანი საგანი. ამ უკანასკნელის შესახებ კი კვლევები

მიუთითებენ ანალიტიკურ მონაცემებზე, ნაცვლად ამა თუ იმ ქვეყნის დონეზე არსებული სპეციფიკური პრობლემების გამოკვეთისა. ახალგაზრდების უმუშევრობის შესახებ კვლევა მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ ისეთი ინფორმაციის გაზიარების სურვილზე, რომლის საფუძველზეც ამ კვლევიდან გარკვეული დასკვნის გამოტანა იქნება შესაძლებელი. მრავალი ოფიციალური გამოკვლევა თუ სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მომზადებულია ან მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ ზოგიერთ შემთხვევაში ახალგაზრდების დასაქმების პროგრამებისა თუ ინიციატივების უმეტესად დადებითი მხარეების გაშუქებას ემსახურება. აღნიშნული პრობლემისა (ახალგაზრდების უმუშევრობის) და მსგავსი თემების შესახებ მინიშნებების სწორად გაგებისათვის საჭიროა მრავალი გამოკვლევისა თუ სამეცნიერო ნაშრომის გათვალისწინება.

როგორც საზოგადოდ უმუშევრობის, ასევე ახალგაზრდების უმუშევრობის გამომწვევი მრავალი მიზეზი და ფაქტორი არსებობს, მათ შორის: სოციალური, ფინანსური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური ფაქტორები. ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გავლენა იქონიოს დასაქმების ხელმისაწვდომობაზე.

სანამ მიმოვიხილავდეთ ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმების სტატისტიკას, ორიოდე სიტყვით თავად ევროკავშირიც მიმოვიხილოთ, რამეთუ ევროკავშირის სტრუქტურას ახალგაზრდების დასაქმების პრობლემებზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა აქვს. ევროკავშირი, რომელიც დღეს 27 ქვეყანას მოიცავს, შეიქმნა 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე. მიუხედავად ევროკავშირის შიგნით არსებული პოლიტიკისა და განვითარების მიმართულებისა, ის ფაქტი რომ ევროკავშირის შემადგენლობაში შედის 27 ქვეყანა, მოცემულ შემთხვევაში ჩვენი რეფერატის მიზნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, 27 ქვეყანა ნიშნავს 27 განსხვავებულ შრომის ბაზარს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს შრომის ბაზრები ძალიან ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მათ შორის, განვითარების დონით. მაგალითად, წარმოუდგენელია ერთმანეთს გერმანიისა და საბერძნეთის შრომის ბაზრები შევადაროთ, მათ შორის კოლოსალური განსხვავებულობის გამო. ასევე, ამ ოდენობის ქვეყანა ნიშნავს მრავალ განსხვავებულ ინტერესს (რამეთუ, მიუხედავად ინტეგრაციის მაღალიდ დონისა, ქვეყნებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

სუვერენიტეტს, ისეთ შემთვევაში კი, როგორიც ევროკავშირია ქვეყნებს მოუწევთ სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე მაინც თქვან უარი, რისი სურვილიც ნაკლებად აქვთ), განსხვავებულ პოლიტიკასა თუ პრობლემას. ამ მხრივ, რაიმე ერთი მიდგომით ახალგაზრდების დასაქმების პრობლემის მოგვარება ევროკავშირში წყლის ნაყვაზე უფრო უსარგებლო საქმიანობაა, ამის ახსნა სულაც არ არის რთული ; მაგალითად საბერძნეთსა თუ ესპანეთში, სადაც ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები ყველაზე მწვავეა, არ შეიძლება გამოვიყენოთ იგივე მიდგომა, რომელსაც გამოვიყენებთ სკანდინავიის ქვეყნებში, და ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ ეკონომიკური განსხვავებებით, არამედ აქ უკვე მხედველობაში მისაღებია კულტურული ფაქტორებიც, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ინსტიტუციები, რომელთა გავლენა ეკონომიკურ პორცესებზე მნიშვნელოვანი და მხედველობაში მიღებას საჭიროებს.

ამიტომ, შევეცდებით, ჯერ ზოგადად მიმოვიხილოთ ევროკავშირის შრომის ბაზარი, თავისი სტატისტიკური მახასიათებლებით და საერთო სახის პრობლემებით, რომელთა გამოვლენასაც შევძლებთ, და შემდეგ, წინა პლანზე წამოვწიოთ საკვანძო პრობლემები და ქვეყნები, რომლებიც ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებენ და, ასევე, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში არსებული ახალგაზრდების უმუშევრობის დონის არსებულ დონეზე შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ევროკავშირის შრომის ბაზრის მიმოხილვა

დღეს არის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ეძებენ შრომის ბაზარზე შესვლის გზებს. ევროკავშირში 2020 წლის თებერვალში 2.737 მილიონი 25 წლამდე ახალგაზრდა ადამიანი იყო უმუშევარი, მათგან 2.258 მილიონი - ევროზონაში. 2019 წლის თებერვალთან შედარებით ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობა 85 000 ერთეულით შემცირდა, ხოლო შემცირების დაახლოებით 66% (56 000) ევროზონაზე მოდიოდა **(Eurostat).** ევროკავშირის მასშტაბით ახალგაზრდების უმუშევრობის დონემ 2020 წლის თებერვალში 14.9% იყო, ხოლო ევროზონაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 15.5% შეადგინა; შედარებისთვის, 2019 წლის თებერვალში ხსენებული მაჩვენებელი, შესაბამისად, 15.5% და 16.1% იყო. 2020 წლის თებერვალში ახალგაზრდების უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე ჩეხეთსა და გერმანიაში (ორივე ქვეყანაში 5.3%) იყო, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საბერძნეთში (34.7%), ესპანეთსა (30.9%) და იტალიაში (29.6%) დაფიქსირდა.

დიაგრამა N1:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე.

ევროპაში მე-20 საუკუნის ადრეული 80-იანი წლებიდან მოყოლებული გრძელვადიანი უმუშევრობა და უმუშევრობის მაღალი დონე პერიოდულად განმეორებად მოვლენად იქცა. დიდი რეცესიისა (the Great Recession) და ევროპის სავალო კრიზისის (the European debt crisis) შემდგომ ეკონომიკის გარკვეული გამოჯანსაღების მიუხედავად, დღესდღეობით უმუშევრობის დონე 2000 წლის შუა ხანებში დაფიქსირებულ შესაბამის დონეზე მაღალია. უფრო მეტიც, არის ორი სიახლე ამ მიმართულებით, პოტენციურად საზიანო შედეგით; კერძოდ: ევროკავშირის ქვეყნების უმუშევრობის დონეებს შორის მზარდი განსხვავება **(Boeri, Jimeno, 2016)** და ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი ალბათობა (მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული ვითარების გამო ახალგაზრდების წილი სამუშაო ძალასა და მთლიან მოსახლეობაში სულ უფრო მცირდება). ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმების დაბალი დონე ნაწილობრივად აიხსნება გარკვეულ ქვეყნებში არსებული მძიმე მდგომარეობით.

2000 - 2018 წლების პერიოდს თუ განვიხილავთ, საინტერესოა მოსახლეობის სამ ასაკობრივ ჯგუფში (15-24 წლის და 25 წელს გადაცილებული მოსახლეობა) ევროკავშირის, აშშ-ისა და დიდი შვიდეულის ქვეყნების (G7) უმუშევარობის შესაბამისი დონეების შედარება. N2 დიაგრამა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირში 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის უმუშევრობის დონე ამერიკისა და დიდი შვიდეულის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით საშუალოდ 6%-ით მაღალია.

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის, აშშ-ისა და დიდი შვიდეულის ქვეყნების უმუშევრობის მაჩვენებლებს შორის არსებულ განსხვავებებს შორის განსაკუთრებული ცვლილებები არ შეინიშნება.

დიაგრამა N2:



წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია. სამუშაო ძალის სტატისტიკა სქესისა და ასაკის მიხედვით.

ის ფაქტი, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ყოველთვის მაღალია სხვა ასაკობრივი ჯგუფის უმუშევრობის მაჩვენებელთან შედარებით და ეს ჯგუფი ყველაზე მეტად მოწყვლადია ეკონომიკური არამდგრადობის დროს, არ შეცვლილა, მიუხედავად ახალგაზრდების წილის შემცირების ტენდენციისა მთლიან მოსახლეობასა და სამუშაო ძალაში.

მოცემული დაკვირვება წარმოშობს მნიშვნელოვან კითხვებს: 1. რატომ არის ახალგაზრდების უმუშევრობა უფრო მაღალი და არამდგრადი სხვა ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით? 2. რატომ არის ახალგაზრდების უმუშევრობის დონეებს შორის ასეთი დიდი განსხვავება ევროკავშირსა და აშშ-ში. (ასევე ევროკავშირის ქვეყნებს შორის). რაზეც მოცემულ რეფერატში შევეცდებით, რომ გავცეთ პასუხი.

ევროკავშირის ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის განხილვისას ორი რამ განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. 1. დიდმა რეცესიამ და ევროპის სავალო კრიზისმა განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდების უმუშევრობის დონეზე (თუმცა დღეის მდგომარეობით ევროკავშირის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ეკონომიკური მაჩვენებლები კრიზისამდელ დონეს დაუბრუნდა ან გაუმჯობესდა 2008 წლამდე არსებულ დონესთან შედარებით); 2. ცალკეულ ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის მზარდი დონე.

როგორც საზოგადოდ უმუშევრობის, ასევე ახალგაზრდების უმუშევრობის გამომწვევი მრავალი მიზეზი და ფაქტორი არსებობს, მათ შორის: სოციალური,

ფინანსური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური ფაქტორები. ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გავლენა იქონიოს დასაქმების ხელმისაწვდომობაზე. არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში მცხოვრები ადამიანებისთვის უმაღლეს განათლებასა და სათანადოდ ანაზღაურებადი სამსახურზე წვდომა ბევრად უფრო შეზღუდულია, ვიდრე მათთვის, ვისაც ოჯახში სტაბილური ეკონომიკური გარემო გააჩნია. ისეთ ქვეყანაში ცხოვრებაც კი, როგორც ფინეთია, სადაც სწავლა უფასოა, სტაბილური ეკონომიკური გარემოს არარსებობამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს პიროვნების უმაღლესი განათლების მიღებისა შესაძლებლობაზე; ასევე, შრომის ბაზარსა და სოციალურ ქსელებში ნავიგაციის არცოდნა პიროვნების შესაძლებლობებს ამცირებს. ცნობილი ამბავია, რომ სიღარიბე შვილებმა შეიძლება მიიღონ და უმეტეს შემთვევაში იღებენ კიდეც მემკვიდრეობით მშობლებისგან. როდესაც პიროვნება დაბალშემოსავლიანი ოჯახიდანაა, დიდი შანსია, რომ ეს სიღარიბე მასზეც გადავა. მშობლების შემოსავლები ზემოქმედებას ახდენს ოჯახის ახალგაზრდა წევრებზე და მათი სამომავლო ცხოვრების შესაძლებლობებზე.

ახალგაზრდების უმშევრობის წარმოქმნის პირდაპირი მიზეზი შესაძლოა, არ იყოს პიროვნების ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, თუმცა, მასზე ზემოქმედება მოახდინოს ახალგაზრდის განათლების დონემ, როდესაც იგი სამსახურს ეძებს. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების შესაბამისი პროფესიით დასაქმება უფრო მეტადაა შესაძლებელი, ხოლო მათ ვისაც არ აქვს კარგი განათლება და შესაბამისი უნარები, უჭირთ დასაქმება. შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ ქვეყანაში განათლების სისტემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების უმუშევრობის თვალსაზრისით. ის, თუ როგორ აისახება განათლების სისტემა შრომის ბაზარზე და რა ითვლება შესაფერის დონედ ან უნარებად, განსხვავებულია ქვეყნებისა თუ ინდუსტრიების მიხედვით.

ახალგაზრდების უმუშევრობაზე შეიძლება, გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა ფაქტორებმა, შრომის კანონმდებლობამ და პოლიტიკამ, რაც ქვეყნების მიხედვით საკმაოდ სპეციფიკურია და შესაძლოა, მრავალი სახესხვაობა არსებობდეს, რომლის ერთობლივი გაანალიზებაც ძალიან რთულია, როდესაც ისეთ ფართო ცნებას განვიხილავთ, როგორიც ახალგაზრდების უმუშევრობაა. თუმცა, საერთო ჯამში, კანონმდებლობა და პოლიტიკური ფაქტორები ახალგაზრდების უმუშევრობაზე

მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. სპეციფიკურმა პოლიტიკამ თუ კანონებმა შესაძლოა, გააფართოვოს ან შეზღუდოს ახალგაზრდების შესაძლებლობები შრომის ბაზარზე. მაგალითად: ბილ მიშელი (Bill Mitchell) (ნიუკასლის უნივერსიტეტის ეკონომისტი) ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის შესახებ პოლიტიკის განხილვისას აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების დასაქმების რეალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით გარკვეული სირთულეები არსებობს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ, როგორც ჩანს, ევროპაში პოლიტიკოსებს არ ესმით, გადასახადების შემცირება და კომპანიებისათივს გარკვეული რეგულაციების დაწესება ავტომატურად რომ არ გამოიწვევს ახალგაზრდებისა თუ სხვა ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის დასაქმების ზრდას. მათი გეგმა იყო, გადასახადების შემცირებით მსხვილი კომპანიები წაეხალისებინათ ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. თუმცა, ამგვარი პოლიტიკის შედეგად სარგებელი ნახეს არა უმუშევარმა ახალგაზრდებმა, არამედ - მსხვილმა კომპანიებმა საგადასახადო შეღავათის სახით, ხოლო ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემა სრულებითაც არ გადაჭრილა. ერთ-ერთი ამგვარი პროგრამაა ე.წ. ახალგაზრდების გარანტია (Youth Guarantee), რომელიც 2012 წელს ამოქმედდა და რომლის შესახებაც ბილ მიშელი (Bill Mitchell) ამბობს, რომ ეს არის „ცუდად დაფინანსებული მარცხი“. ევროპოს კომისიის მიერ აღნიშნულ პროგრამაში წამოყენებული პრობლემები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაფრის მომტანი, ხოლო ევროპარლამენტარების მიერ ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებულ მოქმედებათა დიდი ნაწილი არასაიმედო იყო. ეს მოქმედებები ორიენტირებული იყო ოთხ განსხვავებულ მიმართულებაზე: მეტი ტრენინგი, ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების შესახებ მეტი ინფორმაცია, სამუშაოს მაძიებლების მხრიდან შესაძლო დამსაქმებლებისათვის არასათანადო სიგნალების გაგზავნის პრობლემის გადაჭრა და სახელფასო გრანტები. რთული არაა იმის მიხვედრა, თუ ზოგიერთი კრიტიკოსი და მათ შორის ბილ მიშელი რატომ აღიქვამენ ე.წ. ახალგაზრდების გარანტიის პროგრამას, როგორც მარცხს. ზემოაღნუშნული ქმედებები/ნაბიჯები არაფერ კავშირში არაა სამუშაო ადგილების შექმნასთან, არც უმუშევრობის პრობლემას აგვარებს და არც რაიმე სარგებლობა მოაქვს უმუშევარი ახალგაზრდებისათვის. უკეთესი რეზიუმეს (CV) შექმნა ან დამსაქმებლებისათვის

ახალგაზრდა სამუშაო ძალის დასაქმების დანახარჯების შემცირება აზრს მოკლებულია, თუ კომპანიები ახალ სამუშაო ადგილებს არ შექმნიან და შანსს არ მისცემენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს. ყველაფრის მიუხედავად, მასობრივი უმუშევრობის მიზეზი მეტისმეტად მაღალი ხელფასები არ არის. ამასთან თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საბაერძნეთი ან ესპანეთი გამოგვადგება, ახალგაზრდების უმუშევრობის დონე შემაშფოთებლად მაღალია, რაც გამოწვეულია ეკონომიკაში არსებული პრობელემბით, რისი მოგვარება ევროკავშირის მასშტაბით განხორციელებული პროგრამებით მხოლოდ ღიმილიმომგვრელია, რადგან მსგავსი ქვეუნები სპეციფიკურ მიდგომას, ძირეულ ცვლილებებს საჭიროებენ და არა კოსმეტიკურ ჩარევას.

NEET

(Neither in employment nor in education and training)

დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკა ტრადიციულად გამოიყენება, რათა გამოსახოს სიტუაცია შრომით ბაზარზე. სხვა სიტყვებით, იგი უზრუნველყოფს მონაცემების არსებობას იმ პირებზე, რომლებსაც გააჩნიათ სამუშაო ან აქტიურად ეძებენ მას. თუმცა, ახალგაზრდების შრომით ბაზარში მონაწილეობის ანალიზი რაღაც მხრივ განსხვავებულია, განსაკუთრებით, როცა:

- ახალგაზრდების დიდი ნაწილი არის სკოლაში, უნივერსიტეტში, კოლეჯში, სხვა უმაღლეს დაწესებულებასა თუ ტრენინგში ჩართული.
- ახალგაზრდების ნაწილი არ არის არც დასაქმებული (უმუშევარი ან ეკონომიკურად არააქტიური) და არც ჩართულია განათლებასა თუ ტრენინგში.

NEET - არის ახალგაზრდების წილი, რომლებიც არ არის არც დასაქმებული და არც ჩართულია განათლების მიღების პროცესსა თუ ტრენინგში.

როგორც წესი, უმუშევრობის დონესა და NEET-ს აქვთ, როგორც ნაკლოვანებები, ასევე დადებითი მხარეები. ერთი მხრივ, უმუშევრობა 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში აქცენტს აკეთებს იმ პირებზე, რომლებიც ეკონომიკურად აქტიურები არიან, შესაბამისად გამოირიცხება ის ახლაგაზრდები, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლის პროცესში, მაშინ როდესაც NEET-ი მოიცავს იმ პირებსაც, რომლებიც ეკონომიკურად აქტიური არ არიან, მაგრამ ამ დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 15-19 წლის ადამიანები ძირითადად სწავლის პროცესში არიან ჩართულნი რაც

გარკვეულწილად არაინფორმაციულს ხდის 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის შესახებ NEET-ის მონაცემს, შესაბამისად შესაძლებელია აღნიშნული ჯგუფის გამორიცხვა ახალგაზრდებიდან, რათა უფრო ინფორმაციული იყოს აღნიშნული მაჩვენებელი.

მსგავსად ახალგაზრდების უმუშევრობის დონისა, ევროკავშირის ქვეყნებში NEET-ის დონის თვალსაზრისით დიდი სხვადასხვაობები შეინიშნება. 2019 წელს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 16.4%-ს შეადგენდა, ხოლო ყველაზე მაღალი დონე იტალიასა და საბერძნეთში დაფიქსირდა, სადაც ახალგაზრდების მეოთხედი ან მეტი არც დასაქმებულია და არც სწავლის პროცესშია რამენაირად ჩართული; კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი საბერძნეთში 25.1%, ხოლო იტალიაში 27.8 პროცენტი იყო. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა: შვედეთი, მალტა, ჰოლანდია და ლუქსემბურგი, NEET-ის მაჩვენებელი 10%-ზე დაბალი იყო; უფრო ნათლად რომ ვთქვათ, 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იტალიაში 3.8-ჯერ აღემატებოდა შვედეთში არსებულ ანალოგიურ დონეს.

დიაგრამა N3:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. NEET დონე ახალგაზრდებში.

მე-3 დიაგრამაზე მოცემულია NEET-დონე ევროკავშირში მოყოლებული 2008 წლიდან, 15-19 და 15-24 ასაკობრივ ჯგუფებში. როგორც ვხედავთ, NEET-ის დონე 15-19 ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2008 წლიდან მოყოლებული, რისი მიზეზიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ასაკის ახალგაზრდების სწავლის პროცესში ჩართულობის მაღალი დონეა.

დიაგრამა N4:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. NEET დონე ახალგაზრდებში.

ხოლო 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ის კრიზისის ფონზე იზრდებოდა, პიკს მიაღწია 2012 წელს, 13.1%-ს შემდეგ კი თანდათანობით მცირდებოდა და 2019 წლისთვის 2008 წლის მაჩვენებელზე უფრო დაბალი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადგანაც 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი მოიცავს 15-19 ასაკის მოსახლეობასაც, უფრო ინფორმაციული იქნება, თუკი განვიხილავთ ახალგაზრდებს აღნიშნული ასაკის (15-19) პირების გამოკლებით.

უნდა ითქვას, რომ ორიათასიან წლებში Neet-ის მაჩვენებლის რეკორდულად მაღალი დონის დაფიქსირებამ ევროკავშირში პოლიტიკოსების შეშფოთება გამოიწვია, რადგან შესაძლებელი იყო, ამას მთელი ახალგაზრდა თაობის შრომის ბაზრის გარეთ დარჩენა გამოეწვია და ეს წლების განმავლობაში გაგრძელებულიყო. ამ უკანასკნელის შესაძლო უარყოფითი შედეგი ორგვარია: პერსონალურ დონეზე ეს ადამიანები

სიღარიბის, საზოგადოებისაგან გარიყულობისა და უმწეობისათვის არიან განწირულნი, ხოლო მაკროეკონომიკურ დონეზე, მნიშვნელოვნად იზრდება სოციალურ დანახარჯები და გამოუყენებელი მწარმოებლურობის დანაკარგები.

ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც უმუშევარნი არიან და არც განათლების მიღების პროცესში არიან რაიმე სახით ჩართულნი, გაიზარდა. ახალგაზრდებში NEET-ის დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკის ფუნქციონირებასა და ბიზნესის ციკლთან. მონაცემები ცხადყოფს, რომ 2008 წლიდან, მას შემდეგ, რაც გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ამ მიმართულებით ნახტომისებური ზრდა დაფიქსირდა; კერძოდ, 2008 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 16.6%-ს თუ აღწევდა, მომდევნო წელს 18.7%-მდე გაიზარდა. შემდგომში, 2013 წლამდე იზრდებოდა მცირე ტემპებით, სანამ პიკს - 20.5 პროცენტს - არ მიაღწია. ამის შემდეგ კი NEET-ის მაჩვენებელმა ნელ-ნელა შემცირება დაიწყო და მის კრიზისამდელ დონეს მხოლოდ 2019 წელს მიაღწია.

უნდა ითქვას, რომ NEET-ის მაჩვენებლის 2008 წლის კრიზისამდელ დონემდე შემცირების პარალელურად, 20-34 წლის მოსახლეობაში გაიზარდა იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც რაიმე სახით ჩართულნი არიან განათლების მიღების პროცესში. ამ უკანასკნელთა შორის იგულისხმებიან როგორც მხოლოდ და მხოლოდ სწავლით დაკავებული ადამიანები, ასევე ის ახალგაზრდები, რომლებიც სწავლასა და სამსახურს ერთმანეთს უთავსებენ. აღნიშნული ვითარება ორი რამით შეიძლება იყოს გამოწვეული: პირველი არის ის შესაძლო გარემოება, რომ ახალგაზრდა მოსახლეობაში გაიზარდა იმ ადამიანების წილი, რომლებიც შრომის ბაზარზე შექმნილი კონკურენციის გამო საკუთარი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას ცდილობენ და, აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროცესში ამა თუ იმ ფორმით არიან ჩართულნი; ხოლო მეორე შესაძლო გარემოება გულისხმობს ეკონომიკური კრიზისის პერიოდში სრულ განაკვეთიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობას.

თუ განვიხილავთ 2008-2019 წლების პერიოდში NEET-ის მაჩვენებელს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ მთელი ამ ხნის

განმავლობაში 20-24 წლის ასაკის მოსახლეობაში იგი მუდმივად ნაკლებია 25-29 და, ასევე, 30-34 წლის ახალგაზრდების ანალოგიურ დონესთან შედარებით. ეს, სულ მცირე, აღნიშნულ (20-24) ასაკში საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ახალგაზრდების წილის ზრდაზე მიგვანიშნებს.

ასევე, საინტერესოა NEET - ის დონის შედარება გენდერული ნიშნის მიხედვით. გენდერული ნიშნის მიხედვით აღსანიშნავია, რომ 20-29 მოსახლეობის ასაკობრივ ჯგუფში NEET-ის დონე გაცილებით მაღალი ქალებში მამაკაცებთან შედარებით. სქესობრივი ნიშნით აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის განსხვავება შესაძლოა, ნაწილობრივ, გამოწვეული იყოს ოჯახის სტრუქტურით - რამდენადაც, როგორც წესი, ქალები უფრო მეტ დროს უთმობენ შვილებისა და ოჯახის სხვა წევრების მოვლაში, ვიდრე - მამაკაცები.

გარდა ამისა, არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავება, მათ შორის: ა) ადათ-წესები ან საზოგადოებრივი აზრი, რომლის მიხედვითაც ქალს ოჯახში უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ვიდრე მამაკაცს; ბ) დასაქმების სააგენტოები, რომლებიც შესაძლოა, აძლიერებენ სქესობრივი ნიშნით განსხვავებას და ქალებს სამუშაო ადგილების შედარებით შეზღუდულ სპექტრს სთავაზობენ; გ) შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები, როგორიცაა: დამსაქმებლების არჩევანი, სამსახურში მიიღონ უფრო მეტად მამაკაცები, ვიდრე - ქალები; შრომის ბაზარზე ქალების ადაპტაციასთან დაკავშირებული სირთულეები მშობიარობის შემდგომ და ფაქტი, რომ ახალგაზრდა ქალები უფრო მეტად არიან დაბალანაზღაურებად ან არასაიმედო პოზიციებზე დასაქმებულნი, ვიდრე - მამაკაცები.

დიაგრამა N5:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. NEET დონე ახალგაზრდებში.

2008 წლის ეკონომიკური კრიზისი და მისი გავლენა ახალგაზრდების უმუშევრობაზე

„დიდი რეცესიის“ პირველი ნიშნები 2008 წლის შემოდგომისათვის გამოჩნდა. ამის შემდგომ ფინანსური კრიზისი მთელ მსოფლიოში რეალურ ეკონომიკასა და შრომის ბაზრებზე გავრცელდა. მშპ-ის ზრდის ტემპისა და დასაქმების მკვეთრი შემცირება იმავე წლის შემოდგომაზე დაიწყო. ხოლო ევროკავშირის მშპ-ის ზრდის ტემპმა 2009 წელს -4.3 პროცენტი შეადგინა. მთლიანი უმუშევრობა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების უმუშევრობა მკვეთრად გაიზარდა - 2007 წელს უმუშევარი ახალგაზრდების რიცხოვნობა 4.2 მილიონი იყო, ხოლო პიკის დროს (2013 წელს) – 5.6 მილიონს გადააჭარბა. შედეგად ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2007 წლიდან (15.9%-დან) 2013 წელს (23.7%-მდე) თითქმის 8%-ით გაიზარდა. მიუხედავად 2014 წლიდან საერთო ვითარების შედარებითი გაუმჯობესებისა, ევროკავშირის ქვეყნებში ახალგაზრდების მდგომარეობა დასაქმების თვალსაზრისით უზარმაზარ პრობლემად რჩება.

დიაგრამა N6:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის დონეებს შორის ძალიან დიდი განსხვავებები არსებობს. საზოგადოდ ევროკავშირში და განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საბერთნეთი, ესპანეთი, იტალია, ხორვატია, კვიპროსი, პორტუგალია და სლოვაკეთი, ახალგაზრდების დასაქმების თვალსაზრისით არახელსაყრელი სიტუაცია იყო 2008 წლამდეც და იგი მნიშვნელოვნად დაამძიმა დიდმა რეცესიამ. 2007 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ექვსში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 20%-ს აღემატებოდა, მათგან ყველაზე მაღალი დონით ხორვატია გამორიჩეოდა (დაახლოებით 25%). აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ ექვს ქვეყანაში იყო 10%-ზე ნაკლები. 2014 წელს კი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საბერძნეთი და ესპანეთი, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი უმუშევარი იყო. ევროკავშირის 18 წევრ ქვეყანაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 20%-ს აღემატებოდა, ხოლო 10%-მდე მაჩვენებლი მხოლოდ გერმანიაში ფიქსირდებოდა. შედეგად საერთო ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული უთანასწორობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე კრიტიკული ვითარება გვხვდება ისეთ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე კრიზისამდე უკვე აღემატებოდა ან ძალიან ახლოს იყო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან. ასეთ ქვეყნებში დიდი რეცესიის შედეგად აღნიშნული მაჩვენებელი ევროკავშირის საშუალო დონეზე მეტად გაიზარდა.

ორი რამ ცხადია: პირველი, რომ 2007-2008 წლების დიდი რეცესია კრიტიკული წერტილია - მანამდე რამდენიმე წლის განმავლობაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მცირდებოდა, ხოლო 2008 წლის შემდეგ იზრდებოდა. მხოლოდ 2014 წლიდან აღინიშნება ახალგაზრდების უმუშევრობის დონის უმნიშვნელო შემცირება და 2018 წელსღა მიაღწია აღნიშნულმა მაჩვენებელმა თავის კრიზისამდელ დონეზე (15.8%) ნაკლებ ნიშნულს (15.2%). მეორე: გერმანიისა და იტალიის შედარება ძალზე საინტერესოა - იტალიაში ახალგაზრდების უმუშევრობის მხრივ ისედაც არახელსაყრელი ვითარება იყო დიდი რეცესიის შემდეგ ამ თვალსაზრისით სიტუაცია მკვეთრად დამძიმდა. შედეგად ამ ქვეყანაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე დაახლოებით 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2014 წელს სხვა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისგან განსხვავებით, იტალიაში აღნიშნული მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა. ახალგაზრდების უმუშევრობის როგორც დონე, ასევე მისი ზრდის თავისებურება სრულიად განსხვავებული იყო გერმანიაში. აქ ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ბოლო წლების განმავლობაში თანდათანობით იზრდებოდა 2005 წელს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლამდე. ხოლო 2000-იანი წლების პირველი ათწლეულის შუა ხანებში, შრომის ბაზრის რეფორმის დასრულების შემდეგ აშკარად საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა - ახალგაზრდების უმუშევრობამ შემცირება დაიწყო და უკვე 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი ევროკავშირის იმავე დონეზე დაახლოებით 15 პროცენტული პუნქტით, ხოლო იტალიაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონეზე 35%-ით ნაკლები იყო.

ეკონომეტრიკული მოდელირების შედეგად, რომელიც 1980-2005 წლებში ახალგაზრდების უმუშევრობის მონაცემების საფუძველზე ჩატარდა (**წყარო: Youth unemployment rate and impact of financial crises**), გამოვლინდა, რომ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებსა თუ რეცესიას ამა თუ იმ ქვეყანის ეკონომიკაზე და მათ შორის ახალგაზრდების შრომის ბაზარზე განსაკუთრებული ზეგავლენა აქვს კრიზისის

დაწყებიდან მეორე და მესამე წელს. ხოლო დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ აღნიშნული ეფექტები უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, გარკვეული თვალსაზრისით მნიშვნელოვანწილად ქრება. კრიზისის ზეგავლენა და მისგან გამოწვეული პრობლემების მოგვარება მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ თავისებურებებზე, შრომის ბაზრის სტრუქტურასა და პოლიტიკაზე, ასევე - განათლებისა და პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემაზე. კრიზისის შემდგომდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ იმ ქვეყნებში, სადაც რეცესიის დაწყებამდე შრომის ბაზრის სტრუქტურა ასე თუ ისე გამართულად მუშაობდა და ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო, ახალგაზრდების უმუშევრობის დონე კატასტროფულად არ გაზრდილა და კრიზისის შემდგომ, დაახლოებით 5-6 წლის შემდეგ, დაუბრუნდნენ კრიზისამდელ დონეს. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოდ ეკონომიკისა თუ ცალკე აღებული ახალგაზრდების შრომის ბაზრის მდგომარეობა არასახარბიელო იყო, 2008 წლის კრისისმა და დიდმა რეცესიამ უდიდესი უარყოფითი შედეგები მოიტანა, კიდევ უფრო გააღრმავა არსებული პრობლემები და მიუხედავად საერთო ვითარების გარკვეული გაუმჯობესებისა, დღემდე ვერ მოხერხდა ახალგაზრდების უმუშევრობის თუნდაც კრიზისამდე არსებულ დონემდე შემცირება. პირიქით - ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში აღნიუშნული დონე ძალიან მაღალ ნიშნულზეა, მაგალითად: საბერძნეთში - 35.2%, ესპანეთში - 32.5%, ხოლო იტალიაში - 29.2%. უკანასკნელმა ეკონომიკურმა კრიზისმა ევროკავშირის ქვეყნებს შორის ახალგაზრდების უმუშევრობის დონეებს შორის განსხვავება კიდევ უფრო გააღრმავა და დღეისათვის არსებული ახალგაზრდების უმუშევრობის საშუალო დონე გარკვეულწილად ამითაც არის განპირობებული. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ახალგაზრდების უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე, მიუხედავად დიდი რეცესიის უარყოფითი ზეგავლენისა, კრიზისის დაწყებიდან 12 წლის შემდეგ ვერ იქნება თავის დროზე მისი უარყოფითი ზეგავლენის შედეგი, რადგან არაერთი ქვეყანა არა თუ დაუბრუნდა ახალგაზრდების უმუშევრობის 2007 წლისათვის არსებულ დონეს, არამედ მასზე ნაკლებ დონეს მიაღწია.

აქედან გამომდინარე, ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემის სათავეები არა კრიზისებსა თუ ეკონომიკური შოკების ზეგავლენაში უნდა ვეძიოთ, არამედ - ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელ ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკური მოწყობისა თუ საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებებში. ასევე, მთავრობის მზადყოფნაზე, გაუმკლავდეს ქვეყნის წინაშე მოულოდნელად წარმოშობილ გამოწვევებს.

დროებითი კონტრაქტები

ადრეულ 1990-იან წლებში გავრცელებული იყო შეხედულება იმის შესახებ, რომ ევროპაში საკმარისი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის უუნარობა გამოწვეული იყო შრომითი ბაზრის სიხისტით. შემოთავაზებული რეკომენდაციები მიმართული იყო შრომითი ბაზრის დერეგულირების მიმართულებით **(Simonazzi & Villa, 1999).** როდესაც მოქნილობა გაიზარდა, ეს ხშირად მიმდინარეობდა გარკვეულ საზღვრებში და აღიქმებოდა, როგორც დასაქმებულთა უსაფრთხოების ხარჯი **(Boeri, 2011; Eamets, Philips, Alloja, & Krillo, 2008; Heyes, 2011)**. დერეგულირების პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა რეფორმების სახით, აღნიშნულმა შექმნა სეგმენტირებული შრომითი ბაზარი, სადაც მოქნილობის ტვირთი დააწვა დასაქმებულებს არატიპიური კონტრაქტებით, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არის მაღალი ალბათობა, ახალგაზრდებს ჰქონდეს განსაზღვრული ვადის ან დროებითი კონტრაქტები დაბალი ანაზღაურებით.

დასაქმების დონე კრიზისამდელ დონეს გაუტოლდა ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში. ბევრ მათგანში დასაქმება უფრო მაღალი არის ვიდრე ეს იყო

კრიზისამდე, თვალსაჩინო გამონაკლისია ესპანეთი და საბერძნეთი. ევროკავშირის ისეთ დიდ ეკონომიკაში, როგორიცაა გერმანია კრიზისის შემდეგ არსებული დასაქმების მაჩვენებელი აღემატება კრიზისამდელ დონეს. ასევე, შვედეთისა და ჰოლანდიის დასაქმების დონე 2019 წელს აღემატება 2006 წლის მაჩვენებელს. ეს გვიჩვენებს, რომ ქვეყნების უმეტესობაში შრომითი ბაზარი გამოვიდა დიდი რეცესიიდან, როდესაც GDP -ს ზრდა გაუმჯობესდა **(The Rise of Temporary Work in Europe).**

დასაქმების დონის გაუმჯობესება სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა ევროკავშირის ქვეყნებში, ზოგიერთ ქვეყანაში დროებითი კონტრაქტების მაღალი წილით სხვა ქვეყნებთან შედარებით. დროებითი დასაქმების წილი გაიზარდა, მაგალითად, საფრანგეთში, იტალიაში და ჰოლანდიაში. ჰოლანდიაში, პოლონეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში დროებითი დასაქმების გავრცელების დონე არის ყველაზე მაღალი ევროკავშირში.

N7 დიაგრამაზე მოცემული მოკლევადიანი კონტრაქტების წილი დასაქმებულთა რაოდენობაში, როგორც 15-24 ასევე 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. ახალგაზრდებში დროებითი კონტრაქტებით დასაქმებულთა წილი 43.8% -ია მაშინ როდესაც მთლიან მოსახლეობაში ეს ბოლო წლებში საშუალოდ 15.3%-ია.

დიაგრამა N 7:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. დროებითი კონტრაქტებით დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტული წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში.

აღნიშნული განსხვავება ნაწილობრივ ახალგაზრდების ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებით აიხსნება. შრომიბით ბაზრის დერეგულირება, რაც მის მოქნილობას ზრდის, იგი ასევე იწვევს დასაქმებულების უსაფრთხოების შემცირებასაც, ზრდის დროებით კონტრაქტებით დასაქმებას; როგორც წესი ასეთი სამუშაოები ნაკლებანაზღაურებადი და ნაკლებპერსპექტიულია, ეს კი ყველაზე მეტად აისახება იმ ასაკობრივ ჯგუფზე, რომელთა გამოცდილება და კვალიფიკაცია შედარებით დაბალია. თუკი დროებითი კონტრაქტები, ერთი მხრივ, ზრდის ალბათობას, რომ შრომით ბაზარზე პირველად გამოსული ახალგაზრდა დასაქმდეს და შესაძლებელია ამან ხელი შეუწყოს შემდგომში მათ სტაბილურ დასაქმებას, დაეხმაროს მათ გამოცდილების მიღებაში და ამ გზით ამით ხელს უწყობს ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირებას (რადგან პიროვნებას, რომელიც პირველად ხვდება შრომით ბაზარზე, ურჩევნია დათანხმდეს მსგავს შემოთავაზებას, მცირე ანაზღაურებად სამუშაოზე, ვიდრე საერთოდ უმუშევარი იყოს), მეორეს მხრივ, აღნიშნულმა კონტრაქტებმა შესაძლებელია, სერიოზული პრობლემებიც შექმნას, თუკი ის პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. უმუშევრობის დონის მსგავსად, აღნიშნული მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნებს შორის. მაღალი წილი აღინიშნება ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: ესპანეთი, იტალია, სლოვენია და ა.შ. მაშინ როდესაც, შედარებით დაბალი მაჩვენებელი არის ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: რუმინეთი, ლიტვა, ლატვია და ა.შ..

ატიპური დასაქმების სხვადასხვა სახის ზრდა მნიშნვნელოვანი პრობლემა გახდა შრომითი ბაზრის პოლიტიკისთვის ევროკავშირში. ერთი მხრივ, ის განიხილება როგორც პოზიტიური განვითარება, იმ თვალსაზრისით, რომ ის გამოხატავს შრომით ბაზრის უფრო მეტ მოქნილობას; მეორე მხრივ კი, ეს არის პრობლემა პოლიტიკის გამტარებლებისთვის, რადგან ის კიდევ უფრო ასუსტებს იმ ჯგუფის პოზიციებს შრომის ბაზარზე, რომელთა პოზიციებიც ისედაც სუსტია. ევროკავშირის პოლიტიკის გამტარებლები დაინტერესდნენ ელემენტების გამოვლენით, იმ ქვეყნების ანალიზის

საფუძველზე, სადაც ამ მხრივ სიტუაცია შედარებით კარგია, და ასევე იმით, როგორ არის შესაძლებელი აღნიშნულის გავრცელება პრობლემატურ ქვეყნებზე.

ახალგაზრდების ინტეგრაცია შრომის ბაზარზე

იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ევროკავშირში ახალგაზრდებისა და სხვა ასაკის მოსახლეობის დასაქმების დონეებს შორის, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ არსებობს განსხვავება მოთხოვნებსა (რომელიც მომდინარეობს დამსაქმებლებიდან) და შესაბამის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას შორის, რომლის შეთავაზებაც ახალგაზრდებს შეუძლიათ პოტენციური დამსაქმებლებისთვის ევროკავშირის შრომის ბაზარზე. განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლა ევროკავშირის ქვეყნებში ერთ-ერთ პრობლემად უნდა გავნიხილოთ არსებული არაეფექტური განათლებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გამო, თუმცა ამ მხრივაც არსებობს გამონაკლისები, მაგალითად გერმანია, ჩეხეთი, ნიდერლანდები.

თუმცა, ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაცია მძიმე სოციალურ პრობლემად იქცა ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით მისი გრძელვადიანი ეფექტებით. მეტიც, მთლიანი ზრდა ახალგზარდების უმუშევრობის დონისა გამოსახავს ევროკავშირის მნიშვნელოვან გამოწვევას ამ მხრივ, რის აღმოსაფხვრელადაც

გატარებულია რამდენიმე სპეციალური პროგრამა გასული ათწლეულის განმავლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთ მათგანს მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია (რაც სულაც არ არის გასაკვირი, რამდნადაც აღნიშნულ პროცესებში დიდ როლს თამაშობს ქვეყნის თავისებურებები, ფორმალური (თუმცა ფორმალური ინსტიტუცები შესაძლოა დაახლოებული იყოს ქვეყნებს შორის) თუ არაფორმალური ინსტიტუციები და სხვა ფაქტორები, რის გამოც ცალკეული ქვეყნები, რომლებშიც ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებენ).

ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, ევროკომისიის, ევროსაბჭოსა თუ ევროპარლამენტის მიერ ახალგაზრდების დასაქმების დონის ზრდისა და მათი უმუშევრობის დონის შემცირების, ამ მხრივ არსებული პრობლემებისა და გამოწვევების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებებისა თუ ცალკეული პროგრამების მიმოხილვა. ქვემოთ ვეცდებით, ქრონოლოგიურად განვიხილოთ ამ მიმართულებით ევროკავშირში განხორციელებული ძირითადი პროგრამები:

1) Move Flagship initiative

ეს ინიციატივა, რომელიც 2010 წელს ამოქმედდა, მიზნად ისახავს ევროკავშირის სწრაფი, მზარდი და ყოვლისმომცველი ზრდის უზრუნველყოფისათვის ახალგაზრდების პოტენციალის გამოთავისუფლებას. იგი ეფუძნება დებულებას, რომლის მიხედვითაც 2020 წლისათვის სამუშაო ადგილების 35%-ზე პოტენციური დასაქმებულებისაგან მაღალ კვალიფიკაციასთან ერთად მოთხოვნილი იქნება ადაპტაციისა და ინოვაციურობის უნარი. დოკუმენტში აღნიშნულია ტექნოლოგიური თვალსაზრისით მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ახალგაზრდა მომუშავეთა ნაკლებობის პრობლემა. ინიციატივა ფოკუსირებულია ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების სათანადო პასუხსა და „განათლების ეკონომიის“ მიღებაში დახმარებაზე ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის გზით. ამის მისაღწევად კი შემდეგი ქმედებების განხორციელება იყო საჭირო: ა) წევრი ქვეყნების წახალისება, რათა მათ დიდი ძალისხმევა მიმართონ სკოლის ნაადრევად მიტოვების მაღალი დონის შესამცირებლად და ხელი შეუწყონ პროფესიული განათლებისა და მაღალკვალიფიციური ტრენინგების, როგორც უშუალოდ სამუშაო ადგილზე მიღებული სასწავლო გამოცდილების, მიღებას; ბ) უმაღლესი განათლების

რეფორმირების და მოდერნიზაციის ახალი პროგრამისა (მათ შორის საუნივერსიტეტო სტანდარტებისა) და ევროკავშირის ახალი სტრატეგიის წარმოდგენა ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობის უზრუნველყოფისა და მსოფლიოს სხვადასხვა პარტნიორებთან აკადემიური ურთიერთთანამშრომლობის წახალისებისათვის; გ) მოქნილობის (იგულისხმება შრომის ბაზრის მოქნილობა) ხელის შემშლელ გარემოებათა თავიდან მოცილება; დ) ე.წ. საჯარო დასაქმების მომსახურებაზე ფოკუსირება, „ახალგაზრდების გარანტიის პროგრამის“ ხელშეწყობა და მეწარმეთა მხარდაჭერა.

2) Youth Opportunities initiative

„ახალგაზრდების შესაძლებლობათა ინიციატივა“ ევროკავშირის განათლებისა და დასაქმების პროგრამის („Youth on the Move”) ნაწილი და მისი განხორციელება 2011 წელს დაიწყო. ფაქტობრივად, ეს არის იმ ღონისძიებათა ნაკრები, რომლებიც შემდგომში, 2012 და 2013 წლებში, ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შესამცირებლად გატარდა. აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზნები შემდეგია: ა) იმ ადამიანების წახალისება და მოთხოვნადი უნარ-ჩვევების გამოსამუშვებლად პროფესიული განათლების მიღებისა თუ სკოლაში დაბრუნების ხელის შეწყობა, რომლებმაც დროზე ადრე დატოვეს სკოლა; ბ) სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ ახალგაზრდებისთვის პირველადი სამუშაო გამოცდილების მიცემა; 4.5 მილიონ ევროზე მეტით დაფინანსდა პროგრამა, რომლის მიზანიც იყო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მცხოვრები 5000 ახალგაზრდისთვის პირველი სამსახურის პოვნაში ან სტაჟიორად მოწყობაში დახმარება.

3) ახლგაზრდების დასაქმების პაკეტი (Youth employment package)

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმების ხელის

შეწყობის მიზნით რამდენიმე პროგრამა განხორციელდა, ახალგაზრების დასაქმების დონის თვალსაზრისით (2012 წლისთვის) დადებითი ნიშნები არ შეიმჩნევა. ევროკავშირის ქვეყნებში, საერთო ჯამში, ყოველი ხუთიდან ერთი ახალგაზრდა შრომის

ბაზარზე ვერ პოულობდა სამსახურს. დაახლოებით 7.5 მილიონი ახალგაზრდა არ მუშაობდა, ხოლო 25 წლამდე ასაკის უმუშევარი ახალგაზრდების 30%-ზე მეტი სამსახურის გარეშე იყო 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს ცხადყოფს, რომ ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობა უფრო მეტად სტრუქტურული პრობლემაა და არა მეორეხარისხოვანი გამოწვევა, რომელიც ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოიშვა.

ზემოთ აღნიშნული ევროპის ფონდის პაკეტი, რომლის განხორციელებაც 2012 წელს დაიწყო, გამოყენებული იყო ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ე.წ. ახალგაზრდების გარანტიის პროგრამის („Youth Guarantee“ program) დასანერგად და სტაჟირების პროგრამების გასაუმჯობესებლად, რათა გაზრდილიყო იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ამ პროგრამებში.

4) ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივა (Youth employment initiative)

რამდენადაც განსხვავებულ პოლიტიკასა და მიდგომას სხვადასხვა შედეგი მოჰყვება, რამაც ხელი ვერ შეუწყო დასაქმების დონის ზრდას ამ თუ იმ წევრ ქვეყანაში, ევროკავშირის მესვეურებმა 2013 წლის თებერვალში იმ რეგიონებისათივს, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 25% აღემატებოდა, შეიმუშავეს დასაქმების სპეციფიკური პროგრამა სახელწოდებით - „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივა“ (Youth Employment Initiative). ამ პროგრამის მიზანი იყო იმ რეგიონებისა და ადამიანებისათვის ევროკავშირის ფინანსური დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდა, რომლებიც ახალგაზრდების უმუშევრობითა და უმოქმედობით ყველაზე მეტად ზარალდებიან.

აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებით ეხმარებოდა (გამიზნული იყო დასახმარებლად) ახალგაზრდებს, რომლებიც აქტიურად არ იყვნენ ჩართულნი განათლების მიღებისა თუ ტრენინგების პროცესში, იყვნენ უმუშევრები ან სამუშაოს მაძიებელთა რეესტრში არარეგისტრირებული პირები (NEETs). იგი უზრუნველყოფდა მიზნობრივ მხარდაჭერასა და დახმარებას დასაქმების თვალსაზრისით ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნებისთვის, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის გამოწვევები უფრო

მძაფრად იყო გამოხატული. ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მთავარი ქმედითი ღონისძიება იყო ე.წ. ახალგაზრდების გარანტიის პროგრამის იმპლემენტაცია.

თავდაპირველად, 2014-2015 წლებში „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივის“ პროგრამის ბიუჯეტის მოცულობად 6.4 მილიარდი ევრო იყო განსაზღვრული, თუმცა, გაითვალისწინეს რა ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე, 2017-2020 წლებში უკეთესი შედეგების მისაღწევად, 2016 წელს ევროკომისიაში გადაწყვიტეს, საწყისი ბიუჯეტი 2.4 მილიარდი ევროთი გაეზარდათ, რასაც მხარი დაუჭირა ევროპის პარლამენტმა და ევროსაბჭომ; შედეგად, 2014-2020 წლებისათვის აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტმა 8.8 მილიარდი ევრო შეადგინა.

გარდა ამისა, 2015 წელს დამტკიცდა შესწორებები, რომლის მიხედვითაც, ნაცვლად „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივის“ 1-1.5 პროცენტის ოდენობის ავანსისა (წინასწარი დაფინანსებისა), გამოიყო ავანსი 30%-ის ოდენობით. ამ ცვლილების შედეგად, აღნიშნულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების მიზნობრივი რაოდენობა თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული 14,000-22,000-დან 350,000-650,000 ადამიანამდე გაიზარდა.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივის“ პროგრამის განხორციელება 2013 წელს დაიწყო, მისი იმპლემენტაციის შემდეგ ჯერაც არ არის მიღწეული სასურველი შედეგები.

ჩვენ მიერ განხილული ოთხი ინიციატივიდან გამომდინარე, ევროსაბჭოში შეიმუშავეს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევრობის შემცირებისთვის ევროკავშირის ქვეყნების მიერ განსახორციელებელი გარკვეული ღონისძიებები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1) „ახალგაზრდების გარანტირება“ (Youth guarantee)

როგორც ვთქვით, ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივა უზრუნველყოფს „ახალგაზრდების გარანტირების“ იმპლემენტაციას. აღნიშნული სქემის (Youth guarantee) თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახორციელებენ გარკვეულ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ 25 წლამდე ასაკის მოსახლეობის მიერ დასაქმების ხელსაყრელი

შეთავაზების მიღება, განგრძობით სწავლებაში, სტაჟირებაში ან ტრენინგის პროცესში მონაწილეობის მიღება სწავლის დასრულებიდან (ან აღნიშნული პროცესის მიტოვებიდან) ან უმუშევრად დარჩენიდან არაუგვიანეს ოთხი თვის განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ „ახალგაზრდების გარანტირების“ პროგრამის უუნარობა, მიაღწიოს მოსალოდნელ (სასურველ) შედეგებს, გამოწვეულია არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზით: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში წარუმატებელი აღმოჩნდა „ახალგაზრდების გარანტირების“ პოლიტიკის იმპლემენტაცია, კერძოდ - აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესი დროის თვალსაზრისით ხანგრძლივი, ხოლო გატარებული ღონისძიებები არაქმედითი და არაეფექტიანი იყო.

2) Call for action working together for Europe's young People

ახალგაზრდების დასაქმების შესახებ საერთო მოქმედებისკენ მოწოდების პროგრამა ჩამოყალიბდა ევროპის კომისიის ორგანიზებით 2013 წელს. იგი მიზნად ისახავდა შემდეგი ქმედებების განხორციელებას: ა) ევროპის სოციალური ფონდის მეშვეობით ახალგაზრდებში ინვესტიციების ჩადება; ბ) „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივის“ პროგრამისთვის დამატებითი სახსრების მობილიზება; გ) ევროკავშირის შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის შიდა მობილობისთვის ხელის შეწყობა; დ) დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობის პრობლემის აღმოფხვრისა და მაღალი ხარისხის სტაჟირებისა თუ ტრენინგების მიწოდების ზრდის გზით განათლებიდან დასაქმებაში გადასვლის წახალისება; ე) განხორციელებული რეფორმების შესაბამისი ეფექტების ევროკავშირის რეალურ შრომის ბაზარზე გადაცემის დაჩქარება; ვ) სამუშაო ადგილების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების მიერ სამუშაო ადგილების შექმნისა და ახალგაზრდების დასაქმების სტიმულირებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება.

3) European Alliance for Apprenticeships

Apprenticeships (ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ერთგვარ პროფესიულ სწავლებას ეწევიან, რომელიც თეორიასაც და პრაქტიკასაც მოიცავს და თან ამაში ხელფასს უხდიან). აღნიშნული გაერთიანება 2013 წელს დაარსდა ევროპის კომისიის მიერ და ესაა პლათფორმა, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობისა და

სხვა დაინტერესებული მხარეების (სოციალური პარტნიორები, ტრენინგის მომსახურების მიმწოდებლები, ახალგაზრდების წარმომადგენლები და ა.შ.) ერთობლივ მუშაობას. ხოლო მისი მიზანია პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების მობილურობის პროგრამების ხარისხისა და მიწოდების ზრდა.

4) Quality framework for traineeships

ეს პროგრამა 2013 წელს ევროკომისიაში შეიქმნა, რათა სტაჟიორებისათვის უკეთესი სამუშაო პირობები შეეთავაზებინათ. იგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დაეხმარება სტაჟირების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებასა და ახალბედებისათვის ახალი, გრძელვადიანი მობილურობის უზრუნველყოფაში.

5) Erasmus program

კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის განხორციელდა, არის „ერასმუსი“ და „ერასმუსი +)“; რასაც თავისი წვლილი შეაქვს როგორც სტუდენტების პროფესიოული უნარ-ჩვევების განვითარების საქმეში, ასევე მათ საშუალებას აძლევს, აუცილებელი გამოცდილების მიღების საერთაშორისო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

„ერასმუსის“ ტრადიციული პროგრამა ხელს უწყობს ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობას. კერძოდ, იგი სტუდენტების გაცვლის საშუალებას იძლევა, რაც გარკვეული დროის განმავლობაში, უმეტესად ოთხი თვიდან სრულ აკადემიურ წლამდე შეიძლება გრძელდებოდეს. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობით სტუდენტები აუმჯობესებენ ამა თუ იმ ენის ცოდნასთან დაკავშირებულ უნარებს და იძენენ აუცილებელ სართაშორისო გამოცდილებას, რაც დიდად მოთხოვნადი უნარ-ჩვევებია შრომის ბაზარზე; ეს კი მოგვიანებით, როდესაც ისინი სწავლას დაასრულებენ, მნიშვნელოვნად გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

პროგრამა „ერასმუსი +“ ასევე ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების ზრდისკენაა მიმართული; ეს უკანასკნელი ტრადიციულ „ერასმუსისგან“ განსხვავებით ორმაგ ტრენინგებზეა დაფუძნებული, რაც არამხოლოდ უნივერსიტეტებს შორის

თანამშრომლობას, არამედ აკადემიური წრეებისა და კომპანიების ერთიან მოქმედებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეყნის პროფესიული ტრენინგის სტუდენტები იგზავნებიან სხვა რომელიმე წევრი ქვეყნის ადგილობრივ კომპანიებში, სადაც ისინი მონაწილეობას ღებულობენ შესაფერის სტაჟირების პროცესსა და ტრენინგებში. რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ახალგაზრდების მიერ სამუშაო გამოცდილების მიღებას, პროფესიულ განვითარებასა და აუცილებელ „უცხოურ“ გამოცდილებას (მათ შორის მშობლიურისგან განსხვავებული ენის ათვისებაც იგულისხმება).

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის მიერ ახალგაზრდებთან დაკავშირებული პროგრამა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ახალგაზრდების უმუშევრობასთან ბრძოლის თვალსაზრისით (განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის, ავსტრიის, დანიისა და ჰოლანდიის მიერ გატარებული პოლიტიკა). სწორედ ეს ქვეყნები და, განსაკუთრებით, გერმანია ინარჩუნებს ამ მხრივ მოწინავე პოზიციებს. ამიტომაც აუცილებელია, აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათ მიერ გატარებული ღონისძიებების გათვალისწინება ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმებასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული ერთიანი მიდგომის შემუშავებისას.

ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ემპირიული მტიკიცებულებები მნიშვნელოვან განსხვავებებს ავლენს რეგიონალურ და ტერიტორიული თვალსაზრისით, როგორც უმუშევრობის თავისებურებებში, ასევე ახალგაზრდების შრომის გაზარზე ინტეგრაციასა თუ სხვა პრობლემებში.

თანამედროვე საზოგადოებაში ახალგაზრდები ზრდასრულობაში და შრომის ბაზარზე შესვლის პროცესში დგანან დიდი გაურკვევლობის წინაშე, რაც გამოწვეულია გარკვეული ფაქტორების ერთობლიობით, რაც ასევე მოიცავს, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფაქტორებსაც, განათლების ინსტიტუციურ მოწყობასთან და „საერთო კეთილმოწყობის სახელმწიფოსთან“ ერთად. შედეგად კი ვიღებთ გახანგრძლივებულ ინტეგრაციის პროცესს, რომელსაც მოჰყვება არა მხოლოდ ეკონომიკური არამედ ფისქოლოგიური და სხვა სახის პრობლემები საზოგადოებაში. თუმცა ეს პრობლემები შეიძლება ობიექტურ პრობლემებს მივაკუთვნოთ, რაც გარკვეულწილად ახსნის იმას, თუ რატომ განსხვავდებიან უმუშევრობის დონის თვალსაზრისით სხვადასხვა

ასაკობრივი ჯგუფები (იგულისხმებას ახალგაზრდების დასამების დონის სხვაობა დანარჩენი მოსახლეობის იგივე მაჩვენებელთან). მაგრამ ეს არ გამოგვადგება იმ განსხვავების ასახსნელად, რომელიც არსებობს ევროკავშირის ახალგზარდების დასაქმების დონეებსა და მაგალითად აშშ-ს ან დიდი შვიდიანის ქვეყნებს შორის, რადგანაც ეს პრობლემები დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსთვის (რა თქმა უნდა, განსხვავებები ამ პრობლემის სიმწვავეს შორის არსებობს განვითრების დონეებში არსებული განსხვავებების კვალდაკვალ). მაგრამ თუ დავაკვირდებით იმას, რომ ეს პრობლემების სიმწვავე მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნებს შორის მაშინ ნაწილობრივ გასაგები გახდება, უმუშევრობის საერთო დონე რატომ არის მოცემულ ქვეყნების ჯგუფებს შორის განსხავებული, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში (იგულისხმება ევროკავშირის ქვეყნები) არსებული მწვავე სიტუაცია საერთო სტატისტიკას მნიშვნელოვნად აუარესებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს ევროკავშირის ქვეყნებში მეტ-ნაკლებად საერთო პრობლემების არსებობასაც.

ახალგაზრდების უმუშევრობა ევროკავშირის ქვეყნებში

ზემოთ შევეცადეთ, მიმოგვეხილა ის საერთო სახის პრობლემები, რომელიც არსებობს დღეს, თუ არსებობდა და დღესაც აქვს გარკვეული ეფექტი ახალგაზრდების დასაქმებაზე, ახლა კი შევეცდებით, გავნიხილოთ ის ფაქტი, რომელიც, ჩვენი აზრით, ძირითადად განაპირობებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ ახალგზარდების უმუშევრობის მაღალ დონეს და სხვა დასაქმების პრობლემებს, როგორიცაა - მაღალი წილი დროებითი დასაქმებისა თუ მოკლევადიანი კონტრაქტებისა.

ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე შესაძლოა, მკვეთრად განსხვავდებოდეს მოსახლეობის დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში არსებულ უმუშევრობის დონისგან. მეტიც, რამდენადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების უდიდეს ნაწილში მოსახლეობის დაბერების პროცესი მიმდინარეობს, მომუშავეთა საშუალო ასაკი იზრდება და პოლიტიკოსები შესაძლოა, იძულებულნი გახდნენ, საგანგებოდ მაღალ ასაკობრივ ჯგუფზე გამიზნული შრომის ბაზრის პოლიტიკა გაატარონ, მაგრამ ის განსხვავება რომელიც დღეს არსებობს ევროკავშირის ქვეყნების ნაწილში ახალგაზრდების დასაქმების დონესა და დანარჩენი მოსახლეობის დასაქმების დონეს შორის, ვერ

აიხსნება იმ ობიექტური ფაქტორებით, რომელთა გამო ახალგაზრდების დასაქმების დონე შედარებით დაბალია სხვა ასაკის მოსახლეობასთან შედარებით.

N8 დიაგრამაზე ნაჩვენებია ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში ახალგაზრდების (15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი) უმუშევრობის დონე შედარებული მთლიან უმუშევრობის დონესთან. როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა ქვეყანაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ბევრად უფრო მაღალია მთლიანი მოსახლეობის უმუშევრობის შესაბამის დონესთან შედარებით.

ყველაზე მაღალი დონე შეიმჩნევა ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: საბერძნეთი (35.2%), ესპანეთი (32.5%), იტალია (29.2%), შვედეთი (20.1%) და საფრანგეთი (19.6%). იტალია არის ქვეყანა სადაც ყველაზე მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მთლიანი მოსახლეობის იმავე მაჩვენებელთან შედარებით (19.2%-ით), ასევე არის სხვა ქვეყნები, რომლებშიც უმუშევრობის მაჩვენებელი ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად აღემატება იმავე მაჩვენებელს მთელ მოსახლეობაში, მაგალითად საბერძნეთი, ესპანეთი, შვედეთი, საფრანგეთი.



დიაგრამა N8:

წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით.

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ავსტრია, დანია და ჰოლანდია, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე, ისევე როგორც მთლიანი მოსახლეობის უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია, მთლიანი მოსახლეობის უმუშევრობასა და ახალგაზრდების ანალოგიურ მაჩვენებელს შორის განსხვავებაც ყველაზე მცირეა ევროკაშირის მასშტაბით.

აქვე ერთ დამახასიათებელ ნიშანს მივაქციოთ ყურადღება, როგორც წესი, ახალგაზრდების დასაქმების დონე დაბალია იმ ქვეყნებში, რომლებშიც ზოგადად დასაქმების დონე არის დაბალი და პირიქით. დაბალი უმუშევრობის მქონე ქვეყნებში ახალგზარდების უმუშევრობის დონეც შედარებით დაბალია. აქედან რთული არ არის დავასკვნათ, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე მნიშვნელოვნად გამოწყვეულია ამ ქვეყნებში ზოგადად ეკონომიკური პრობლემებით და თავისებურებებით. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმების დაბალი დონის უკეთ გასაგებად კარგად უნდა ჩვაწვდეთ ისეთ ქვეყნებში არსებულ პრობლემებს, როგორიცაა: ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი და ა.შ., სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია.

როგორც დიაგრამაზე შეიძლება დავინახოთ, არსეობობს უზარმაზარი განსხვავება ახალგაზრდების უმუშევრობის დონეებს შორის ევროკავშირის ქვეყნებში. ერთი მხრივ არის ქვეყნები, როგორებიცაა: საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი სადაც ახალგაზრდების სამუშაო ძალის მესამედზე მეტს არ აქვს სამუშაო, და, მეორეს მხრივ, არის ჩეხეთი, გერმანია, სადაც 5.6%-5.8% ახალგაზრდების სამუშაო ძალის არის სამუშაოს გარეშე.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის აღნიშნული განსხვავება მნიშვნელოვანწილად აიხსნება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სპეციალიზაციითა და სამუშაო ძალის მომზადების დონით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ ქვეყნებში არის ახალგაზრდების მაღალი დასაქმების მაჩვენებელი, სადაც არიან მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდები და სკოლების ნაადრევად დატოვების მაჩვენებელი დაბალია. რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომლებშიც ახალგაზრდების პროფესიული მომზადების დონე მაღალია, უკეთესად უმკლავდებიან ეკონომიკური კრიზისებიდან მომდინარე პრობლემებს.

მეორე მხრივ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, როგორიცაა: ესპანეთი და იტალია, სადაც ეკონომიკის ის სფეროები იყო წამყვანი, სადაც ძირითადად გამოიყენებოდა ნაკლებკვალიფიციური სამუშაო ძალა, მძიმე სიტუაციის წინაშე დააყენა დასაქმება 2008 წლის კრიზისმა. კიდევ ერთი ფაქტორი, რაც მოცემულ ქვეყნებს მძიმე სიტუაციაში

აყენებს კრიზისების დროს, არის ორმაგი შრომის ბაზარი, რაც გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ქვეყნებში შრომის ბაზარი არის სეგმენტირებული.

მსგავსად მთლიანი მოსახლეობის უმუშევრობის დონისა, ახალგაზრდების უმუშევრობის დონეც ფინანსური კრიზისის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების უმუშევრობა არ არის ახალი პრობლემა, რომელიც შეიძლება მთლიანად აიხსნას დიდი რეცესიით, როგორც ზემოთ შეგვიძლია დავინახოთ (N1 დიაგრამაზე), 2008 წლის კრიზისის შემდეგ უმუშევრობის დონე მეტნაკლებად დაუბრუნდა თავის კრიზისამდელ ნიშნულს, თუმცა ის კვლავ მაღალია. ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში, სადაც არის ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პრობლემები, უმუშევრობის მაჩვენებელი ახალგაზრდებში მაღალი იყო კრიზისამდე და არის მას შემდეგაც.

აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ახალგაზრდების დასაქმების დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრენინგებზე მიღებულ უნარ-ჩვევებსა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონესთან. დასაქმების დონე დიდად განსხავებულია ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე წევრ ქვეყნებს შორის. ამასთან, ყველაზე დიდი განსხვავება 40%-ს აღწევს. **(Begoña Garteizaurrecoa Azua, 2018).**

ასეთი უზარმაზარი განსხვავება წევრ სახელმწიფოებს შორის ძირითადად აიხსნება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სპეციალიზაციითა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ევროკავშირის იმ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდა სამუშაო ძალის კვალიფიკაცია მაღალია, ხოლო სკოლის ნაადრევად მიტოვების მაჩვენებელი - დაბალი. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდების აკადემიური მომზადების დონე მაღალია, კრიტიკულ ეკონომიკურ ციკლებს უკეთესად უმკლავდებიან.

მეორე მხრივ, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ესპანეთი და იტალია, სადაც ეკონომიკურ კრიზისამდე ეკონომიკის იმგვარი სექტორი იყო წინა პლანზე წამოწეული და უფრო მეტად განვითარებული, რომელშიც ნაკლებ განათლებული და

დაბალკვალიფიციური მუშახელია საჭირო (მაგალითად: სამშენებლო სექტორი), გლობალური კრიზისის დროს სათანადოდ ვერ გაუმკლავდნენ მათ წინაშე დამდგარ გამოწვევებს და რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამან, რა თქმა უნდა, საზოგადოდ დასაქმების და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დასაქმების დონეზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე ევროკავშირში ნაწილობრივ განპირობებულია ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული უთანასწორობით. გარკვეულ ქვეყნებში კონცენტრირებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ევეროკავშირის საერთო მაჩვენებლის შედარებით მაღალ ნიშნულს განაპირობებს. ასევე, აღნიშნული ართულების ევროკავშირს სამოქმედო პოლიტიკას, რამდენადაც ევროკავშირის ქვეყნებში არსებული უმუშევრობა ძირითადად გამოწვეულია ქვეყნისათვის დამახასიათებელი პრობლემებით, რაც ფაქტობრივად გამოუსადეგარს ხდის ერთიანი პოლიტიკის არსებობას. რამდენადაც შეუძლებელია ერთი პოლიტიკის გატარება, მაგალითად გერმანიასა და საბერძნეთში.

ახალგაზრდების უმუშევრობა გერმანიაში

ვიდრე გერმანიაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონეზე ვისაუბრებდეთ, უმჯობესი იქნება, მიმოვიხილოთ ამ ქვეყანაში შრომის ბაზარზე არსებული ვითრება და, ზოგადად, მისი ეკონომიკური მდგომარეობა.

არც ისე დიდი ხნის წინ, გერმანია ეკონომიკური თვალსაზრისით არასახარბიელო რეპუტაციის მქონე ქვეყანა იყო; იგი არც თუ იშვიათად, მოიხსენიებოდა, როგორც „ევროპის გაჭირვებული ქვეყანა“, „სტაგნაციაში მყოფი“ და ა.შ.. თუმცა, გავიდა დრო და დღესდღეობით გერმანია ევროკავშირის მასშტაბით ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონეა, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყანად ითვლება.

საინტერესოა, თუ როგორ მიაღწია გერმანიამ ამგვარ ცვლილებებს და მოიპოვა სამაგალითო ქვეყნის რეპუტაცია.

სამუშაოზე აქტიური და სწრაფი ინტეგრაციისკენ საფეხურებრივი ცვლილება ე.წ. ჰარცის რეფორმებით (Hartz reforms) დაიწყო, რომლის იმპლემენტაციაც 2002-2005 წლებში მიმდინარეობდა. სამუშაოს ძიების ასისტენტისა და აღნიშნული პროცესის ზედამხედველობის მნიშვნელობა გაიზრდა, ამავე დროს, სამუშაო ადგილების შექმნის არაეფექტური სქემები გაუქმდა ან შემცირდა. აქტივაციაზე ორიენტირებული რეფორმების გატარების შედეგად წარმატებით დაიწყო სტრუქტურული უმუშევრობის შემცირება და გაიზარდა დასაქმების დონე, გაძლიერდა გერმანიის ეკონომიკის მოქნილობა 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დროს. თუმცა, გერმანიის შრომის ბაზარზე რეცესიის უარყოფითი ზეგავლენის გაზომიერებისა და შედარებით განეიტრალების საქმეში საკვანძო როლი 2008 და 2009 წლებში მიღებულ მასტიმულირებელ პაკეტებთან ერთად შეასრულა სამუშაო დროის შემცირების ნებართვამ, აღნიშნული შემცირებული დროის სახელმწიფოს მიერ სუბსუდირებამ და ფირმის დონეზე მოთხოვნის შემცირების შესაბამისად სამუშაო საათების რეგულირებისა და მოქნილობის უზრუნველყოფისათვის გამოყენებულმა ინსტრუმენტებმა.

გერმანიის შრომის ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებებს ფილოსოფიური საფუძველი ე.წ. პირველ რიგში სამუშაოს/მუშაობის მიდგომა იყო (“work first” APPROACH), რასაც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მაკროეკენომიკურ თეორიასა და პოლიტიკაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ ნებისმიერი სამსახური კარგია და შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევის საუკეთესო გზაა, დათანხმდე პირველივე შემოთავაზებულ სამსახურს. დასაქმება არის როგორც მიზანი, ასევე - მოლოდინი **(Brown, 1997).** უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიზანი გერმანიაში მანამდე არსებული პარადიგმის ცვლილებას გულისხმობდა: უმუშევრობის მაღალი დონის შესამცირებლად აღარასდროს უნდა გამოეყენებინათ ძველად არსებული სქემა, რომლის მიხედვითაც შრომის ბაზრიდან „ჭარბი“ სამუშაო ძალის გამოდევნის შემდეგ უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს სთავაზობდნენ გარკვეულ დახმარებას და რთავდნენ მათ ისეთ პროგრამებში, რომელიც სრულიადაც არ უწყობდა ხელს მათ სწრაფ რეინტეგრაციას შრომის ბაზარზე. **(Eichhorst et al. 2006).**

აღნიშნული რეფორმები ძირითადად გამიზნული იყო მოსახლეობის რეალურ დასაქმებასა და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ამაღლებაზე ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებისათვის შემწეობა შეენარჩუნებინათ, საჯარო სამსახურში დაესაქმებინათ ან ამა თუ იმ ტრენინგში ჩაერთოთ. ჰარცის რეფორმების გატარებას გერმანიის შრომის ბაზარზე შესანიშნავი შედეგები მოჰყვა უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით. შთამბეჭდავი იყო ის, რომ აღნიშნული შემცირება 2008-2009 წლის გლობალური რეცესიის მიუხედავად მაინც გაგრძელდა (იხილეთ დიაგრამა N9).

გრძელვადიანი უმუშევრობის შემცირებასთან ერთად უფროსი ასაკის მოსახლეობაში დასაქმების დონე გაიზრდა, თუმცა ეს არ მომხდარა ახალგაზ-რდების აქტიურობის დონის შემცირებისა თუ უმუშევრობის დონის ზრდის ხარჯზე. დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა უფრო პროდუქტიული გახდა. სიტუაციის ამგვარი განვითარების შედეგად გერმანიის ეკონომიკა შედარებით მყარ და უკეთეს პოზიციაში აღმოჩნდა, როდესაც 2008 წლის ბოლოსკენ ეკონომიკურმა კრიზისმა ამ ქვეყანასაც მიაყენა დარტყმა. (Rinne & Zimmermann 2012). 2008-2009 წლების დიდი რეცესია 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე დიდი გლობალური რეცესია იყო.

აღნიშნული კრიზისის ზეგავლენის შედეგები პირველად გერმანიის ეკონომიკის საყრდენებზე - ექსპორტსა და სამრეწველო სექტორზე - აისახა. 2008 წლის ბოლოს მეტალისა და ქიმიური ინდუსტრიის მიმართულებით შეკვეთების მოცულობა

დიაგრამა N9:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. უმუშევრობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით.

დრამატულად შემცირდა (შესაბამისად, 35 და 20 პროცენტით) და საფრთხე შეუქმნა გერმანიის ეკონომიკის ახალდაწყებულ გამოჯანსაღებას **(Haipeter 2012: 392–3).** საპასუხოდ მთავრობამ 2008 წლის ნოემბერში შედარებით მოკრძალებული სტიმულირების პაკეტი შემოიღო (ბიუჯეტი: 11.8 მილიარდი ევრო). იგი მოხმარებისა და მოკლე/არასრულ განაკვეთიანი სამუშაოების სუბსიდირების სტაბილიზაციის მიზნით ითვალისწინებდა ერთი წლიდან 18 თვემდე საგადასახადო შეღავათებს ფირმებისა და საოჯახო მეურნეობებისათვის. სამუშაო დროის შემცირების დაფინანსება გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული დროის განმავლობაში სამუშაო დროის რეგულირების/შემცირების შედეგად გამოწვეული ხარჯების სუბსიდირებას. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება, რომ ამა თუ იმ ადამიანს ეძლევა საშუალება უფრო ნაკლები იმუშაოს და სახელმწიფოს დახმარების ხარჯზე საკუთარი შემოსავალი არ შეუმცირდეს.

კრიზისის პიკის დროს გარკვეულმა გაერთიანებებმა და დამსაქმებლთა ასოციაციებმა შექმნეს კოალიცია, რომლის მიზანიც გერმანიის ინდუსტრიის

გაძლიერებასთან ერთად უსაფრთხო დასაქმების ხელშეწყობა იყო. დიდმა რეცესიამ უმეტესწილად გერმანიის ექსპორტზე ორიენტირებულ სამრეწველო სექტორზე იქონია გავლენა, სადაც საუკეთესოდ მართულ და წარმატებულ კომპანიებში კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა უფრო და უფრო იშვიათ მოვლენად იქცა. მოსახლეობის დაბერების მზარდი დონისა და სამომავლოდ კვალიფიციური მუშახელის მოსალოდნელი დეფიციტის ფონზე კომპანიები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ კვალიფიციური სამუშაო ძალა, მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტზე მოთხოვნა და, შესაბამისად, მისი მოცულობა მყისიერად მცირდებოდა.

2009 წლის იანვარში გერმანიის მთავრობამ აამოქმედა სტიმულირების მეორე პაკეტი, რომლის ბიუჯეტიც 50 მილიარდი ევრო იყო. იგი ითვალისწინებდა ინვესტიციებს განათლებაში, ტრენინგებსა და ინფრასტრუქტურაში. მოკლე/არასრულ განაკვეთიანი სამუშაოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსების პერიოდი 24 თვემდე გაიზარდა.

თუმცა, შრომის ბაზრის საკვანძო პოლიტიკა, რომლის განხორციელებამაც რეცესიის ზემოქმედება შეამსუბუქა, იყო მოკლევადიანი დასაქმების პოლიტიკა. იგი გამოიყენებოდა გერმანიის გაერთიანებისთანავე, რათა შეეკავებინათ უმუშევრობის მზარდი დონე. **(Heinelt და Weck, 1998; Schmid 2017).** აღნიშნული პოლიტიკის თეორიული საფუძველი იყო ის, რომ ადამიანებისათვის სამუშაოს შენარჩუნება ხელს უწყობს პროფესიული უნარ-ჩვევების შენარჩუნებას, რადგანაც დიდი ხნის განმავლობაში უმუშევრად დარჩენა აუფასურებს ადამიანურ კაპიტალს. სწორედ ასეთი ლოგიკა იყო გამოყენებული 2009 წელს. მოსახლეობის დასაქმების უნარიანობის გასაუმჯობესებლად მოკლე/არასრულ განაკვეთიანი სამუშაოების დაფინანსება ისე იყო განსაზღვრული, რომ ფირმის ხარჯები უმცირესი ხდებოდა, როდესაც მოკლევადიანი დასაქმება და კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ზომები ერთდროულად გამოიყენებოდა. **(Bogedan, 2012).** აღნიშნული სქემის ფარგლებში მიღწეულმა შედეგმა პიკს მიაღწია, როდესაც უმუშევრობისგან დაცული ადამიანების რაოდენობა 1.14 მილიონ მომუშავეს ითვლიდა; მათი უმეტესობა სამრეწველო სექტორში მუშაობდა. **(Seeleib-Kaiser, 2015; გვ192).**

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს გერმანიის შრომის ბაზრის არაჩვეულებრივი ფუნქციონირების საქმეში თავისი წვლილი კერძო კომპანიებმაც შეიტანეს. მათ თანამშრომელთა შემცირების ნაცვლად არჩიეს, შეენარჩუნებინათ სამუშაო ძალა. მოქნილი შრომის ბაზრის ინსტრუმენტებთან დაახლოების შედეგად ფირმებს მიეცათ შიდა მოქნილობის გამოყენების საშუალება, რათა დაეცვათ მათი ინვესტიციები კვალიფიციურ სამუშაო ძალაში. **(Caliendo & Hogenacker 2012: 13; Reisenbichler & Morgan 2012).** ამგვარად, კრიზისის პიკის დროს, 2009 წლის მაისისთვის, მეტალის ინსდუსტრიაში დაახლოებით ერთი მილიონი მომუშავე (ერთ მეოთხედზე მეტი) იყო მოკლევადიან სამუშაოზე დასაქმებული. **(Haipeter 2012: 399).**

არასრულ განაკვეთიანი მუშაობის დაფინანსებისა და სამუშაო დროის მოქნილობის ინსტრუმენტების გამოყენებამ გერმანიას დაახლოებით 600,000-დან **(Brenke 2010: 45; Eichhorst & Weishaupt 2013: 322)** 1.2 მილიონამდე სამუშაო ადგილის შეუნარჩუნა. ამან, ერთი მხრივ, დასაქმებულებს სამსახურის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა, ხოლო, მეორე მხრივ, დამსაქმებლებს გრძელვადიანი დადებითი ეფექტი მოუტანა სამუშაო ძალის ღირებულების თვალსაზრისით.

გერმანიაში მოვლენების ამგვარი განვითარება, რა თქმა უნდა, არსებით ზეგავლენას მოახდენდა ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელზე. თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2000-იან წლებიდან დაწყებული ახალგაზრდების უმუშევრობის დონე თანმიმდევრულად დაბალი იყო ზრდასრულთა უმუშევრობის მაჩვენებელთან შედარებით, რაც ევროკავშირის და, საზოგადოდ, ევროპის ქვეყნებისთვის სრულიად არადამახასიათებელი მოვლენაა. ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელს დინამიკაში თუ დავა-კვირდებით (დიაგრამა N10), შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის ზუსტად იმეორებს გერმანიის მოსახლეობის უმუშევრობის საერთო მაჩვენებლის ცვლილების არა მხოლოდ მიმართულებას, არამედ ზრდის თუ კლების ტემპებსაც კი. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან მოყოლებული შეიმჩნევა.

ევროკავშირის მასშტაბით გერმანია ახალგაზრდების დასაქმების დონის თვალსაზრისით მოწინავე პოზიციებს იკავებს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ

უმუშევრობის დაბალი დონე მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, სწორედ იმ რეფორმებითა თუ ღონისძიებებით, რომლებიც ზემოთ გვქონდა განხილული - ცხადია, როგორც ასეთი, ახალგაზრდების შრომის ბაზარი, ისევე როგორც, თავად ახალგაზრდობა საზოგადოებისაგან განცალკევებულ ჯგუფად ვერ იარსებებს. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ გერმანიის შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესები ახალგაზრდების დასაქმებაზეც აისახება.

დიაგრამა N10:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. უმუშევრობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით.

თუმცა, გარდა ყველაფრისა, ცალკე აღსანიშნავია „ორმაგი სწავლების სისტემა“ (The dual apprenticeship system). ეს არის გერმანიაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ბირთვი. იგი ეფუძნება 1969 წელს მიღებულ „პროფესიული ტრენინგების აქტს (შესწორებები შევიდა 2005 წელს) და დღემდე რჩება ძირითად გზად ახალგაზრდა თაობისათვის შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველა ახალგაზრდას, რომელმაც დაასრულა სავალდებულო სწავლების ეტაპი. მასში მონაწილეობას იღებენ სკოლა დამთავრებულთა დაახლოებით ნახევარი. თავად სწავლების პროცესი ორ ნაწილად იყოფა, კერძოდ: კვირის გარკვეულ ნაწილს (მთლიანი დროის დახლოებით 30%) მოსწავლე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ სკოლაში ატარებს, სადაც

ტრენინგებს უტარებენ, ხოლო კვირის დარჩენილ დროს (მთლიანი დროის დაახლოებით 70%) მცირე და საშუალო კომპანიებში შესაბამის სფეროში პრაქტიკულ საქმიანობას ეუფლებიან. მანამდე კი კომპანიები აპლიკანტებთან კერძო სამართლის საფუძველზე აფორმებენ ხელშეკრულებას და ტრენინგებს უტარებენ პროფესიული სწავლების ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული პროცესის ზედამხედველობას კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ. პროგრამის მონაწილეებს დამსაქმებელი ფირმები ხელფასს უხდიან. თუმცა, ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია როგორც საქმიანობის სექტორზე, ასევე - ამა თუ იმ კომპანიის ზომაზე. უნდა ითქვას, რომ შედარებით დიდი კომპანიები მოკლევადიან პერიოდში ხარჯებს უფრო მეტს გაიღებენ, ვიდრე სარგებელს იღებენ და მათთვის აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა და, მაშასადამე, შესაბამისი სატრენინგო ადგილების მიწოდება, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, უმეტესად სოციალური, მორალური აქტია და მხოლოდ სამუშაო ძალაში გრძელვადიან ინვესტიციას წარმოადგენს. სულ სხვა სურათია მცირე ზომის ფირმებში - მათთვის ეს ახალგაზრდები დამატებითი „იაფი“ მუშახელია, რადგანაც ისინი ტრენინგის დაწყებისთანავე პრაქტიკულად მუდმივად მონაწილეობენ პროდუქციის წარმოებაში და ტრენინგის დასრულებისას (უმეტესად სამი წლის შემდეგ) იმავე ანაზღაურებას იღებენ, რასაც სწავლების დაწყებისას.

ორმაგი სწავლების პროცესი ორი წლიდან სამ წელიწად ნახევრამდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, დაეუფლონ დაახლოებით 330 სახის პროფესიიდან ერთ-ერთს. სწავლის დასრულების შემდგომ ისინი მიღებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ადასტურებენ საბოლო გამოცდაზე (როგორც თეორიული, ასევე - პრაქტიკული თვალსაზრისით). რის შემდეგაც მათზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. გერმანიაში წელიწადში დაახლოებით ნახევარი მილიონი ასეთი სერტიფიკატი გაიცემა. ეს რა თქმა უნდა, არ არის დასაქმების გარანტია, თუმცა, დასაქმებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რამდენადაც, იგი დამსაქმებლებს სანდო ინფორმაციას აწვდის სერტიფიკატის მფლობელის კვალიფიკაციისა და პროდუქტიულობის შესახებ; გარდა ამისა, დამსაქმებლებს თანამშრომლის დაქირავების ხარჯები უმცირდებათ და (არამარტო

ფინანსური თვალსაზრისით) და ნაკლები ძალისხმევა სჭირდებათ, სასურველი კადრის მოძიებაში. სხვა შემთხვევაში დამსაქმებლებს შეუდარებლად ნაკლები სტიმული ექნებოდათ, დაექირავებინათ შედარებით ახალგაზრდა ადამიანები, რადგან გარდა მოკლევადიანი სტაჟირებისა, მათ არ აქვთ საშუალება, მარტივად დაიქირავონ და კვლავ დაითხოვონ ესა თუ ის თანამშრომელი მათი პროდუქტიულობის შემოწმების შემდეგ. უნდა ითქვას, რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი (2012 წელს - 66%) **(Heike Solga, Paula Protsch, Christian Ebner, Christian Brzinsky-Fay)** სწორედ იმ კომპანიაში საქმდებიან, სადაც გაიარეს აღნიშნული სწავლება.

რა თქმა უნდა, გერმანიის ორმაგი სწავლების სისტემა თავის როლს ასრულებს გერმანიაში ახალგაზრდების უმუშევრობის დაბალი დონის მიღწევაში; თუმცა, მისი როლის გადაჭარბებული შეფასება არასწორი იქნება, რადგან რაც უნდა უნაკლო იყოს პროფესიული (და თუნდაც უმაღლესი) განათლების სისტემა და რაც უნდა მაღალი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების კადრებს ამზადებდეს, ეს ყველაფერი უშედეგო იქნებოდა, რომ არა კომპანიები, რომლებიც სამუშაო ადგილების მიწოდებას უზრუნველყოფდნენ. ახალგაზრდების უმუშევრობის დაბალი დონე ნაწილობრივ მარტივი სტატისტიკური თავისებურებითაც აიხსნება, კერძოდ: რამდენადაც ორმაგი სწავლების სისტემის მქონე ქვეყნებში პროფესიული სწავლების პროგრამაში ჩართულ ადამიანებს ფირმებთან სამუშაო კონტრაქტი აქვთ გაფორმებული, ისინი დასაქმებულებად ითვლებიან. ამას გარდა, ყველა გერმანელი ახალგაზრდა, რომლებიც მონაწილეობენ პროფესიული სწავლების წინარე ღონისძიებებში, უმუშევარი ახალგაზრდების რაოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინებიან. **(Heike Solga, Paula Protsch, Christian Ebner, Christian Brzinsky-Fay, 2014).** თუმცაღა, გერმანიაში (და არამარტო გერმანიაში) ახალგაზრდების უმუშევრობის დაბალი დონის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე მმართველი ორგანოების მიერ გატარებული განათლების, შრომის ბაზრის, სოციალური და სხვა სახის სწორი, დროული პოლიტიკა და სახელმწიფოს ეკონომიკის ჯანსაღი მდგომარეობაა.

ახალგაზრდების უმუშევრობა საბერძნეთში

იყო დრო, როდესაც საბერძნეთი ცნობილი იყო თავისი მაგიური პეიზაჟებით, ფანტასტიკური საკვებით, მისი მეგობრული ხალხით და დიდებული წარსულით, რასაც კრიზისიდან მოყოლებული დაემატა ერთი დამატებითი ნიშან-თვისება, საბერძნეთი დღემდე ცნობილია მისი ცუდი ეკონომიკური სიტუაციითაც. ადამიანთა უმეტესობა, რომლებიც იცნობენ საბერძნეთს, საუბრობენ არა მხოლოდ მის სილამაზესა თუ ისტორიაზე, არამედ მის ცუდ ეკონომიკურ სიტუაციაზე.

ახალგაზრდები საბერძნეთში 2008 წლის ეკონომიკური კრიზისისგან უფრო მეტად დაზარალდნენ, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში (მაგ. შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია და სხვ.), ეს კარგად ჩანს სხვადასხვა პარამეტრების განხილვისას, მაგალითად: დასაქმება, უმუშევრობა, გრძელვადიანი უმუშევრობა, NEET (Neither in Employment, Education or Training), ახალგაზრდების უმუშევრობა შემცირდა 2013 წლიდან მოცემულ ქვეყნებში, იმ პირობებში, რომ მიმდინარეობდა ეკონომიკის გამოსვლა ეკონომიკური კრიზისიდან, მაგრამ საბერძნეთში ეს მაჩვენებელი 2015 წელსაც 50%-ის ფარგლებში იყო **(European Parliament).**

დიაგრამა N11:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით.

ამ მხრივ საბერძნეთში შეიმჩნევა სპეციფიკური სტრუქტურული პრობლემების არსებობა, რაც გამოწვეულია შრომის ბაზრის სუსტი ფუნქციონირებითა და გარკვეული სტრუქტურული პრობლემებით. ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაცია არის გაჭიანურებული, ასევე გვხვდება მაღლი წილი ახალგაზრდა განათლებული უმუშევრების 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში **(European Parliament)**, ძლიერი გენდერული უთანასწორობა, რეგიონალური უთანასწორობა, შრომის ბაზრის სეგმენტაცია და არაფორმალური დასაქმების მაღლი წილი.

მოცემულ დიაგრამაზე (დიაგრამა N11) კარგად ჩანს (საბერძნეთისა და ესპენეთის მაგალითზე) საბერძნეთსა და ესპანეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიზისის დროს უმუშევრობის დონე და მას შემდეგ კრიზისამდელ დონეს არ დაბრუნება, მაშინ როდესაც, ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში უმუშევრობის დონე მის კრიზისამდელ მაჩვენებელს დაუბრუნდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არსებობს საბერძნეთში, არის ხარგრძლივი უმუშევრობა, ყოველი მესამე უმუშევარი ახალგაზრდა არ არის დასაქმებული 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში **(European Parliament).** გრძელვადიან უმუშევრობას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოჰყვება. მცირდება დასაქმების შესაძლებლობები უმუშევრობის ხანგრძლივობასთან ერთად, ხოლო შრომით ბაზარზე ინტეგრაცია ხდება უფრო დიდი გამოწვევა და, ასევე, იზრდება ინტეგრაციის დანახარჯებიც.

საბერძნეთში ასევე მაღალია NEET (Neither in Employment, Education, Training), ამ ქვეყანაში ევროკავშირის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. როგორც ეკონომიკური კრიზისის შედეგი, NEET-ის დონე, ფაქტობრივად გაორმაგდა 2007 წლის შემდეგ, როდესაც ის იყო ევროკავშირის საშუალო დონესთან ახლოს **(European Parliament).**

რეცესიამ გაამწვავა არსებული სტრუქტურული ნაკლოვანებები და შეუსაბამობები საბერძნეთში, რომელიც ტრადიციულად განაპირობებდა

ახალგაზრდების დასაქმების დაბალ შესაძლებლობებს. გაიზარდა ტრანზაქციის პერიოდი განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლის დროს, რაც განპირობებულია არსებული უნარების შეუსაბამობით, ფიზიური შრომის დაბალი შეფასებით, დაბალი ხარისხის განათლებით და ტრენინგებით, დაბალი დონის კომუნიკაციით ფირმებსა და განათლებას შორის, მაღლი წილით არაფორმალური დასაქმების, საბერძნეთის დასაქმების საჯარო სამსახურის არაეფექტური საქმიანობით. ამ გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რომ ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიებები გარდამტეხი ცვლილების მომტანი არ აღმოჩნდა, რადგან მსგავსი პრობლემების მოგვარება გარკვეული პროექტების განხორციელებით, როგორც ამას ევროკავშირში ვხედავთ (ზოგიერთი მათგანი კი არასაკმარისად არის დაფინანსებული, მაგალითად: Youth Guarantee **(Audit Compendium, 2017).** რადგან მსგავსი პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელია ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი გარდაქმნების განხორციელება.

1995 წლიდან მოყოლებული საბერძნეთის ეკონომიკა საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, ისევე როგორც მსოფლიო ქვეყნების დიდი ნაწილი. ევროპის ქვეყნების ეკონომიკებში და, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში იყო ბუმი. მნიშვნელოვნად იზრდებოდა მშპ, აქ შეიძლება გავნიხილოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც მსოფლიო ეკონომიკა იზრდებოდა ასე სწრაფად. ეს იყო გლობალიზაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები, რამაც ეკონომიკური სიტუაცია სრულიად შეცვალა მსოფლიოში.

ევროპის ბაზარიც შეუერთდა ამ ზრდას, მაგრამ მაშინაც ევროპის ქვეყნებში იყო უმუშევრობის მაღალი დონე. საბერძნეთში, როგორც N11 დიაგრამაზე შეგვიძლია დავინახოთ, უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში მაღალია ამ პერიოდშიც. ამ დროს საბერძნეთს განსხვავებული ხასიათის პრობლემები ჰქონდა, ეს დაახლოებით ის პერიოდია, როდესაც საბერძნეთი ევროზონის ნაწილი გახდა, რასაც სპეციფიკური მოთხოვნილებები და საჭიროებები ახლდა თან, რაც საბერძნეთს უნდა შეესრულებინა, შემდეგ, 2000 იანი წლების დასაწყისში, საბერძნეთი შეუერთდა ევროზონას, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი იდგა მნიშვნელოვანი სტრუქტურული პრობლემების წინაშე, როგორიც იყო მაღალი დეფიციტი 1990-იანი წლების შუა

პერიოდამდე. საუბედუროდ, საბერძნეთის ევროზონაში შესვლა არ ემთხვეოდა სტანდარტულ ეკონომიკურ კრიტერიუმებს, თუმცა ეს არ იყო ცხადი დასაწყისიდანვე. მაგრამ დაბალმა საპროცენტო განაკვეთებმა გამოიწვია ხელფასებისა და შემოსავლების ზრდა საბერძნეთში, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იყო. სინამდვილეში, ევროზონის ისეთმა ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყნებმა, როგორებიცაა გერმანია და საფრანგეთი, მოგება ნახეს კაპიტალის გატანით ისეთ პერიფერიულ ქვეყნებში, როგორიცაა პორტუგალია, ირლანდია, საბერძნეთი და ესპანეთი, ამის შედეგად, იაფმა ფულმა (სესხების დაბალი დანახარჯებით) გააუარესა კონკურენტუნარიანობა ამ ქვეყნების. მთავარი პრობლემა საბერძნეთისთვის და მთავარი განსხვავება სხვა ქვეყნებისგან იყო მაღალი ვალი GDP-ის თან მიმართებით.

საბერძნეთის ეკონომიკამ პირველი ნიშანი სიტუაციის გაუარესების აჩვენა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, 2004 წლის სექტემბერში საბერძნეთმა აღიარა სტატისტიკის გაყალბების ფაქტი (ბიუჯეტის დეფიციტის ლიმიტი 3%) ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მაღალი დანახარჯების გამო. ეკონომიკა იყო სუსტი დაბალი ექსპორტისა და კორუფციის გამო. როგორც შედეგი, ზემოთხსენებული ფაქტორებმა დეფიციტზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. საუბედუროდ, სესხების გარეშე, დეფიციტი ვერ დაბალანსდება. საერთაშორისო კრიზისმა გამოიწვია ის, რომ ბაზრებზე გახდნენ უფრო ფრთხილები ისეთი სუსტი ეკონომიკებთან ურთიერთობისას, როგორიც იყო საბერძნეთი. უეცრად, მაღალმა ვალმა GDP-სთან მიმართებით აიძულა საერთაშორისო ბაზარი, რომ საბერძნეთის მთავრობისთვის მიეცათ სესხი მაღალი საპროცენტო განაკვეთით. საბოლოოდ განვითარებულმა მოვლენებმა საბერძნეთი გაკოტრების საფრთხის წინაშე დააყენა.

რასაკვირველია, როდესაც ვსაუბროვთ მსგავს ქვეყანაზე ევროკავშირის ფარგლებში, ასეთ სიტუაციას ვერავითარი პროგრამა ვერ გამოასწორებს, თუკი არ მოხდება მნიშვნელოვანი სტრუქტურული გარდაქმნები, რაც საშუალებას მისცემს ასეთ ქვეყნებს ეკნომიკური სიტუაციის გამოსწორებისა და შესაბამისად დასაქმების პრობლემების მოგვარებისა.

ახალგაზრდების უმუშევრობა იტალიაში

შრომითი ბაზარი იტალიაში განიცდიდა საკმაოდ დიდ ნეგატიურ შოკს რეცესიის შედეგად, 2014 წლიდან მოყოლებული დაიწყო სიტუაციის მცირედი გაუმჯობესება. მიუხედავად გაუმჯობესებისა, უმუშევრობის დონე იტალიაში ჯერ კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე ეს იყო კრიზისამდელ პერიოდში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ამავე დროს მცირედით გაუმჯობესდა ქალთა დასაქმებაც, მაგრამ რეგიონთაშორისი უთანასწორობა კვლავაც მაღალია, სტაგნაციის მდგომარეობაში მყოფი სამხრეთი უუნაროა დაეწიოს ჩრდილოეთს. რეალური შემოსავალი იზრდება, მაგრამ პროდუქტიულობა შენარჩუნებულია დაბალ დონეზე სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. ასევე, მაღალია არაფორმალური დასაქმებაც, განსაკუთრებით სამხრეთში **(Marino, Nunziata, 2017).**

იტალიის შრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია ხასიათდება თვალშისაცემი განსხვავებით სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებთან მიმართებით. ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელია მაღალი უმჯუშევრობა და დაბალი აქტიურობის დონე, მაშინ როდესაც უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფების მსგავსი მაჩვენებლები უმჯობესდება. იტალიის შრომის ბაზრის სტრუქტურაში არსებული პრობლემები ისედაც დაბალ ზრდის მაჩვენებელს კიდევ უფრო მეტად შემცირებით ემუქრება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, პოლიტიკის გამტარებლებმა უნდა გაატარონ ახალგაზრდების დასაქმების წამახალისებელი ღონისძიებები, მაგრამ მხოლოდ ეს პროგრამები სიტუაციას ვერ გამოასწორებს. იმისთვის რომ ახალგაზრდების დასაქმების დონე გაიზარდოს, პირველ რიგში უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, მაგრამ, რამდენადაც მოცემული ღონისძიებების ხასიათი არ არის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, პირველ რიგში საჭიროა შეიქმნას უფრო მეტად კონკურენტული გარემო, ინვესტიციების ნაკადები გაიზარდოს კვლევებისა და ინოვაციების დასაფინანსებლად. გატარდეს ღონისძიებები სამხრეთის რეგიონებში ეფექტურობის გაზრდის და კორუფციის შემცირების მიმართულებით, რათა კერძო ინვესტიციებიდან მიღებული მოგება გაიზარდოს.

ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემული ახალგაზრდების უმუშევრობის დონე

დიაგრამა N12:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით.

იტალიში, რომელიც შედარებული 15-74 წლის ასაკობრივი ჯგუფის იმავე მაჩვენებელთან. როგორც მოცემულ დიაგრამაზე შეიძლება დავინახოთ, უმუშევრობის დონეები მნიშვნელოვნად განსხვავდება, ახალგაზრდების უმუშევრობა თითქმის 3 ჯერ აღემატება 15-74 წლის ასაკის ადამიანთა ანალოგიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალია ამ მხრივ ევროკავშირში მოწინავე პოზიციას იკავებს.

უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში იტალიის ეკონომიკამ გამოიარა 3 რეცესია, 2001 წლის იანვრიდან 2003 წლის ივლისამდე, 2008 წლის მარტიდან 2009 წლის მაისამდე და 2011 წლის ივნისიდან 2013 წლის აპრილამდე **(Marino, Nunziata, 2017).** მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის სრულიად გამოკეთდა 2001 წლის დაღმასვლის შემდეგ, 2008 წელს დაწყებულმა რეცესიამ ძირი გამოუთხარა შრომის ბაზარს, რამაც უმუშევრობის დონე შემაშფოთებელ ნიშნულამდე აიყვანა 2014 წლამდე, რა პერიოდიდანაც სიტუაციამ გამოსწორება დაიწყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. თუმცა, როგორც დიაგრამაზე შეგვიძლია დავინახოთ, სიტუაცია ოპტიმალურისგან ჯერ კიდევ ძალიან შორსაა, მეტიც შემაშფოთებელია.

იტალიაში საერთო აქტიურობის დონე 2000-იანი წლებიდან მოყოლებული ცოტათი გაიზარდა, ცვლილების დიდი ნაწილი აისახა შედარებით ასაკოვან და ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში. აქტიურობის დონე ასაკოვან ადამიანებში გაიზარდა 2000-იან წლებთან შედარებით.

დიაგრამა N13:



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური. დასაქმება და აქტიურობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით

როგორც დიაგრამაზე (N13) შეგვიძლია დავინახოთ, 55-64 წლის ასაკის მოსახლეობაში აქტიურობის დონის ზრდას თან ახლავს 15-24 წლის ასაკის მოსახლეობაში ანალოგიური მაჩვენებელს შემცირება, რაც 2000-იან წლებთან შედარებით 15 პროცენტით არის შემცირებული; მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 55-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით 27 პროცენით არის გაზრდილი. აღნიშნული ფენომენი შეიძლება აიხსნას საპენსიო რეფორმის მიხედვით, რომლის ფარგლებში გაზარდეს საპენსიო ასაკში გასვლის ასაკი, რამაც როგორც სტატისტიკიდან შეგვიძლია დავასკვნათ, მნიშვნელოვნად გაზარდა აქტიურობის დონე 55-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში. მაგრამ ეს ვერ ახსნის ახალგაზრდების აქტიურობის ასეთ დაბალ დონეს, ეს უკანასკნელი ვერც განათლები მიღებაში ჩაბმულობით აიხსნება, რადგან NEET-ის (those not in education, employment or training) დონე გაიზარდა, რაც გამორიცხავს განათლების მიმღებთა ზრდით გამოწვეულ აქტიურობის შემცირებას 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში, რადგან NEET-მოიცავს იმ პირებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი განათლებაში, არ მუშაობენ ან არ არიან ტრენინგებში ჩაბმულნი.

განსხვავება უმუშევრობის დონეებს შორის იტალიის რეგიონების მიხედვით დიდად არ შეცვლილა კრიზისის შემდეგ. სამხრეთის რეგიონები ყოველთვის ხასიათდებოდნენ გაცილებით მაღალი დონის უმუშევრობით, ვიდრე ჩრდილოეთის რეგიონები, მაშინ როდესაც, მცირედი განსხვავება არსებობდა ცენტრალურ და ჩრდილო რეგიონებში. 2007 წლის ბოლოს სამხრეთის რეგიონებში უმუშევრობის დონე სამზე უფრო მეტჯერ აღემატებოდა იგივე მაჩვენებელს სამხრეთის რეგიონებში.

იტალიის შრომითი ბაზარი განიცდის მცირედ გაუმჯობესებას. მთავარი პრობლემა, რომელიც უნდა იყოს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკის გამტარებლებისთვის, არის ცუდი სიტუაცია იტალიის სამხრეთ რეგიონების. ეს კარ-გად ცნობილი გრძელვადიანი სტაგნაციის მაგალითი, გამწვავებული არაეფექტური ინსტიტუციებით და პოლიტიკით. ინოვაციური სტრუქტურული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს უფრო კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექნისკენ სამხრეთის რეგიონებში და კერძო ინვესტიციების უფრო მომგებიანად ქცევისკენ. კანონიერება უნდა აღდგეს ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრად შემცირების გზით, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს და რესურსების ალოკაციას უფრო ეფექტურს აქცევს.

აღნიშნული საერთო ხასიათის პორობლემებს გარდა, რომლებიც ახალგაზრდების უმუშევრობას მნიშვნელოვნად ზრდის არსებობს სხვა სახის პრობლემები. მთავარი პრობლემა არის შრომის ბაზრის ცუდი, არაეფექტური ფუნქციონირება ახალგაზრდებისთვის, რომელთა მონაწილეობა შრომის ბაზარში მნიშვნელოვნად შემცირდა მე-20 საუკუნის დასასრულიდან. ასეთი ცუდი ფუნქციონირება ახალგზარდებთან მიმართებით თანაარსებობს შედარებით უკეთესი სიტუაციით უფროსი თაობის ადამიანებისთვის. რაც გვაფიქრებინებს, რომ იტალიაში არასაკმარისი ინვესტიციები არის მიმართული ახალგაზრდების განვითარებისთვის და შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციისთვის.

დასკვნა

ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმების თვალსაზრისით მძიმე ვითარებაა, რაც უდიდესი პრობლემაა ევროკავშირის მესვეურებისთვის, რადგან „იგი იწვევს სოციალურ გამოფიტვას და ძირს უთხრის ახალგაზრდების მომავალს“ **(Arulampalam, 2001).** სწორედ ამიტომაა, რომ აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით ზღვა მასალა არსებობს სამეცნიერო ნაშრომების, სტატიებისა თუ კვლევების სახით. თვალშისაცემია, რომ ევროკავშირის თაოსნობით ჩატარებული თუ მათ მიერ დაფინანსებული კვლევები ახალგაზრდების უმუშევრობის შესამცირებლად პოლიტიკოსების მიერ გატარებული ღონისძიებების მნიშვნელობასა და შედეგებს ტენდენციურად წარმოადგენს (ეს იმ ფონზე, როცა კრიტიკოსები არც თუ უსამართლოდ, სწორედ ამ პროგრამების უშედეგობასა და წარუმატებლობაზე საუბრობენ); ისინი თითქოს გვერდს უვლიან რეალურად არსებული სიტუაციის შეულამაზებლად გადმოცემას და მხოლოდ მიღწეულ შედეგებსა თუ სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებებზე ამახვილებენ მკითხველის ყურადღებას. ასე რომ, ერთი შეხედვით, აღნიშნული სტატიებისა თუ სამეცნიერო ნაშრომების გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, თითქოს არაფერია საგანგაშო; რაც ხდება, ასეც უნდა იყოს და თუ რაიმე პრობლემა არსებობს წევრ ქვეყნებში, მხოლოდ ზოგადი, საერთო პოლიტიკის გატარებითა და გარკვეული ინიციატივების, პროგრამებისა თუ ერთჯერადი „საინექციო“ საშუალებების გამოყენებით გამოსწორდება. გარდა ამისა, რიგ სამეცნიერო ნაშრომებში ყურადღება უფრო მეტად უმუშევრობის საერთო დონეზეა გამახვილებული, ხოლო ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემა მეორეხარისხოვან გამოწვევად წარმოგვიდგება.

სინამდვილეში, ახალგაზრდების უმუშევრობა ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი და, რაც მთავარია, არახალი გამოწვევაა. ჯერ კიდევ გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე ევრიკავშირის ქვეყნებში ამ მხრივ სერიოზული პრობლემები არსებობდა. დღეისათვის აშშ-სა და დიდი შვიდეულის ქვეყნებთან შედარებით ევროკავშირში აღნიშნული დონე დაახლოებით 6 პროცენტით უფრო მაღალია. 2019 წელს იგი 14.4%

შეადგენდა, თუმცა ასეთი მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად აიხსნება წევრ ქვეყნებს შორის უზარმაზარი უთანასწორობით - ზოგიერთ მათგანში 6 პროცენტზე დაბალია, ზოგიერთში კი - 30 პროცენტსაც კი აჭარბებს. ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოთა თითქმის ნახევარში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე კავშირის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. აღსანიშნავია, რომ კრიზისის დაწყებიდან 5-6 წლის შემდეგ არაერთ წევრ ქვეყანაში ახალგაზრდების დასაქმების დონე დაუბრუნდა მის კრიზისამდელ მაჩვენებელს; აღსანიშნავია გერმანიის, ავსტრიისა და ზოგიერთი ქვეყნის საკმაოდ წარმატებული შედეგები ამ მიმართულებით, თუმცა, რიგ ქვეყნებში საპირისპირო სურათს ვხვდებით; განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა იტალიაში, ესპანეთსა და საბერძნეთში.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც, ნებსით თუ უნებლიედ, ევროკავშირის ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოჩენას ცდილობენ. არადა, როგორც ზემოთ ვთქვით, პრობლემები მანამდეც თვალსაჩინო იყო. ნიშანდობლივია, რომ 2007 წლის შემდგომ ყველაზე მეტად სწორედ ისეთ ქვეყნებში გაუარესდა სიტუაცია, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე კრიზისამდე ახლოს იყო ან აჭარბებდა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომეტრიკული მოდელირების შედეგად გამოვლინდა, რომ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებსა თუ რეცესიას ქვეყნის შრომის ბაზარზე და, საზოგადოდ, ეკონომიკაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა კრიზისის დაწყებიდან მეორე და მესამე წელს აქვს; ხოლო დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ მისი ეფექტები მნიშვნელოვანწილად ქრება. კრიზისის გავლენა უდავოა, მაგრამ მისი მთავარ მიზეზად აღიარება რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული და არაობიექტური იქნება. სინამდვილეში, ფინანსური კრიზისი აღმოჩნდა მხოლოდ კატალიზატორი იმ პრობლემების გაღრმავებისა, რაც ისედაც არსებობდა რიგ ქვეყნებში ახალგაზრდების დასაქმების კუთხით.

იტალიისა და საბერძნეთის შემთხვევაში ნათლად გამოჩნდა, რომ პრობლემები ბევრად უფრო რთული და ღრმაა, ვიდრე რომელიმე კრიზის გავლენა. ახალგაზრდების უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური,

საგანმანათლებლო თუ კულტულური მოწყობის თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. აღნიშნულ მოვლენაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან აღსანიშნავია: საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებანი; სკოლის ნაადრევად მიტოვების მაჩვენებელი, პროფესიული სწავლების ადეკვატურობა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების თვალსაზრისით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობა (გერმანიის „სწავლების ორმაგის სისტემა“ სწორედ ამ უკანასკნელს ეფუძნება), განათლებიდან შრომის ბაზარზე გადანაცვლებისა და ინტეგრაციის სიმარტივე და ხანგრძლივობა, შრომის ბაზრის მოქნილობა, დროებითი კონტრაქტების წილი (ევროკავშირში ახალგაზრდების წილი ასეთ კონტრაქტებში ძალიან მაღალია - 2019 წელს 46.8% იყო), ახალგაზრდების განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, მათი ეკონომიკური აქტიურობის დაბალი მაჩვენებელი, ეკონომიკის სპეციალიზაცია, კერძო სექტორის მზადყოფნა, შექმანას სამუშაო ადილები და დაასაქმოს ახალგაზრდები, აგრეთვე, ტრადიციები, სოციალური მოწყობის თავისებურებანი, ურბანიზაციის დონეც კი და ა.შ.

ცალსახაა ისიც, რომ ევროკავშირში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ახალგაზრდების დასაქმების გასაუმჯობესებლად განხორციელებული ინიციატივებისა თუ პროგრამების ეფექტიანობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას; რასაც ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე ამტკიცებს. ჩვენი აზრით, არაეფექტურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ა) ევროკავშირში წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური მდგომარეობის, სპეციფიკური თავისებურებებისა თუ ახალგაზრდების უმუშევრობის თვალსაზრისით არსებული უზარმაზარი განსხვავება აზრს უკარგავს ერთიანი, უნივერსალური, პოლიტიკის გატარებას და მნიშვნელოვნად აქვეითებს მის ეფექტიანობას; ბ) პოლიტიკის გამტარებლებს არ სურთ გაიგონ ან ვერ იგებენ, რომ ისეთი რთული და მრავალმხრივი პრობლემის გადაჭრა, როგორიც ახალგაზრდების უმუშევრობაა, შეუძლებელია რაიმე სახის უნივერსალური, „27 ქვეყანაზე გათვლილი“ „საინექციო“ პროექტების განხორციელებით (ისიც ცუდად დაფინანსებულით); გ) არაერთი მათგანი (თუ ყველა არა) უფრო მეტად ახალგაზრდების წახალისების, განათლებასა თუ ტრენინგებში ჩართულობის ხელშეწყობისა და მათთვის სოციალური დახმარების გაცემის ხასიათს

ატარებს, ძირეული პრობლემების მოგვარებისა თუ სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა. ამ უკანასკნელის გარეშე კი, განათლების მაღალი დონეც და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაც წყლის ნაყვას დაემსგავსება (თუ არ არის სამუშაო ადგილი, ვერც დასაქმებული იარსებებს). აღნიშნული ღონისძიებები დროებით, უმნიშვნელოდ აყუჩებს ტკივილს, მაგრამ, არ აღმოფხვრის მის პირველწყაროს - პრობლემა პრობლემად რჩება.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ცხადია, რომ ევროკავშირის ახალგაზრდების უმუშევრობის მრავალწახნაგოვანი პრობლემის სათავეები არა ფინანსურ კრიზისებში, ეკონომიკურ შოკებსა თუ სხვა სახის გარე ფაქტორების ზემოქმედებაში უნდა ვეძიოთ, არამედ - კონკრეტული ქვეყნის შიდაეკონომიკურ, სოციალურ თუ საგანმანათლებლო კუთხით არსებულ პრობლემებში. ხოლო მისი გადაჭრის გზა ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღნიშნული პრობლემებისა თუ გამოწვევების აღმოჩენისა და მისი რეალურად მოგვარების ნებასა და უნარზე გადის. სხვაგვარად, ყოველგვარ ზედაპირულ მცდელობას აზრი ეკარგება; ახალგაზრდების უმუშევრობა კი მოსახლეობის დაბერების ინტენსიურ პროცესში მყოფ „ბებერ კონტინენტს“ მძიმე შედეგებს უქადის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვირკვაია მ, კიკუტაძე ვ., სიხარულიძე დ., შაბურიშვილი შ., ჭარაია ვ. *ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო.* "ეკონომისტი", 2018, N2, გვ. 52-53;
2. ლობჟანიძე მ. ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები და რეგულირების ძირითადი მიმართულებები. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი 2006წელი, გვ. 6;
3. ტუხაშვილი მ., ანანიაშვილი ი., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., შელია მ., ჭელიძე ნ. *შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში.* პუბლიკაცია მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროექტის „სარეინტეგრაციო საქმიანობა საქართველოში" მხარდაჭერით. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი. 2012. გვ. 75-76.;
4. შელია მ., 2019. *მოსახლეობის ეკონომიკა.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. შელია მ., 2020. *სოციალური პოლიტიკა (სალექციო კურსი).* თბილისი.
6. ცარციძე მ. *შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში.* რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", "Ekonomics and Business" ტომი XI, N2, 2019წ. ISSN 1987-5789. გვ. 16-37. http://eb.tsu.ge/?leng=ge;
7. Andries De G., Jeroen H., Ed W.. 1997. International Labour Review, Vol. 136 (1997), No. 1 (Spring). *Atypical employment in the european union.* https://www.ilo.org/public/english/revue/sommaire/136-1.htm;
8. Assaad R., Levison D., 2013. *Employment for youth: A growing challenge for the global community.*

https://www.researchgate.net/publication/255710927_Employment_for_youth_A_growing_challenge_for_the_global_community;

9. Biletta I., Cerf C., 2018. *Work on demand: Recurrence, effects and challenges*. Publications Office of the European Union, Luxembourg. https://www.eurofound.europa.eu/publications/report/2018/work-on-demand-recurrence-effects-and-challenges;
10. Butkus M., Seputiene J., 2019. *The Output Gap and Youth Unemployment: An Analysis Based on Okun's Law*. https://www.researchgate.net/publication/337018690_The_Output_Gap_and_Youth_Unemployment_An_Analysis_Based_on_Okun's_Law;
11. Cairnd D., 2010. *Youth on the Move.* (1st Edition. 2010);
12. Cefalo R., Scandurra R., Kazepov Y., 2020. *Youth Labor Market Integration in European Regions.* https://www.mdpi.com/2071-1050/12/9/3813/htm;
13. Choudhry T., Signorelli M., Marelli E., 2012. *Youth unemployment rate and impact of financial crises.* https://www.researchgate.net/publication/227429332;
14. Dietrich H., Moeller J., 2015. *Youth unemployment in Europe – business cycle and institutional effects.* https://www.researchgate.net/publication/284243654_Youth_unemployment_in_Europe_-_business_cycle_and_institutional_effects;
15. E. Kharaishvili, I. Natsvlishvili. *Impact of International Educational Migration In The Contexst Of Globalization Of Higher Education (Case Of Georgia).* https://iated.org/concrete3/paper_detail.php?paper_id=73405. 2019. ISBN: 978-84-09-12031-4;
16. European Commision. 2019. *youth guarantee & youth employment initiative.* https://ec.europa.eu/info/sites/info/files/factsheet-youth-guarantee-youth-employment.pdf;
17. Eurostat. 2017. *Being young in Europe today - labour market - access and participation.* https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Being_young_in_Europe_today_-_labour_market_-_access_and_participation&oldid=417676;
18. Eurostat. 2018. *Young people on the labour market – statistics. Statistics Explained;* https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Young_people_on_the_labour_market_-_statistics;

19. Eurostat. 2020. *Unemployment statistics. Statistics Explained.* https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Unemployment_statistics;
20. Eurostat. 2020. *Europe 2020 indicators – employment. Statistics Explained.* https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/pdfscache/29302.*pdf* ;
21. Eurostat. 2020. *Statistics on young people neither in employment nor in education or training. Statistics Explained.* https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Statistics_on_young_people_neither_in_employment_nor_in_education_or_training;
22. Eurostat. 2020. *Youth unemployment. Statistics Explained.* https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Youth_unemployment&oldid=430342;
23. Garteizaurrecoa Azua Begona. 2018. *Youth Unemployment and how to face it with a European approach*. https://www.iedonline.eu/download/2018/IED-Youth-Strategy-Garteizaurrecoa.pdf;
24. Hein de Haas. 2018. *European Migrations: Dynamics, Drivers, and the Role of Policies*. EUR 29060 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2018, ISBN 978-92-79-77714-1, doi:10.2760/168653, JRC109783. https://ec.europa.eu/jrc/en/publication/european-migrations-dynamics-drivers-and-role-policies;
25. Hernanz V., Jimeno j., 2017. *Youth Unemployment in the EU, ECONSTOR* - https://www.econstor.eu/bitstream/10419/166711/1/cesifo-forum-v18-y2017-i2-p03-10.pdf?fbclid=IwAR251Lpl3QEsFqXkzMOeSC-j2vvzlJ3RtbSZa9xdzoMW-xIMAIntiy5d21o;
26. Jedrych M., 2012. *Youth unemployment*. https://www.eza.org/en/publications/publications-on-the-social-dialogue/no-12-youth-unemployment;
27. Le Mouillour I., Friedrich M., 2018. Federal Institute for Vocational Education and Training. *VET Data Report Germany 2016/2017.* https://www.bibb.de/veroeffentlichungen/en/publication/show/9550;
28. O'Higgins N.,. 2015. *Youth Unemployment*. https://www.researchgate.net/publication/322861234_Youth_Unemployment;
29. Reboot project consortium. 2019. *Employment Challenges and Training Needs of Unemployed and Underemployed Higher Education Graduates in Europe. Findings from the Reboot Project.* http://reboot-project.eu/outcomes/;

30. Reilly J., Eichhorst W., Gabos A., Hadjivassiliou K., Lain D., Mytna L., Nazio T. and Others.. 2015. *Five Characteristics of Youth Unemployment in Europe: Flexibility, Education, Migration, Family Legacies, and EU Policy.* https://www.researchgate.net/publication/273202296_Five_Characteristics_of_Youth_Unemployment_in_Europe_Flexibility_Education_Migration_Family_Legacies_and_EU_Policy;
31. Schneider H., Rinne U., 2019. *The labor market in Germany, 2000 – 2018*. https://wol.iza.org/articles/the-labor-market-in-germany/long;
32. Silagadze Avtandil, Atanelishvili Tamar, Silagadze Nodar. *Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment*. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 14, no. 1, 2020. P. 175-176. http://science.org.ge/bnas/t14-n1/27_Silagadze_Economis.pdf;
33. Solga H., Protsch P., Ebner C., Brzinsky-Fay C., 2014. *The German vocational education and training system: Its institutional configuration, strengths, and challenges*. https://www.econstor.eu/handle/10419/104536;
34. Spohr F., 2019. *Germany's Labour Market Policies: How the Sick Man of Europe Performed a Second Economic Miracle.* https://www.researchgate.net/publication/335927712_Germany's_Labour_Market_Policies_How_the_Sick_Man_of_Europe_Performed_a_Second_Economic_Miracle;
35. Tahtinen J., 2019. *Youth Unemployment and Economy: European Perspective.* https://www.theseus.fi/handle/10024/169389;
36. Tremblay D., 2003. *The German Dual Apprenticeship System: An Analysis of Its Evolution and Present Challenges.* https://www.researchgate.net/publication/228701563_The_German_Dual_Apprenticeship_System_An_Analysis_of_Its_Evolution_and_Present_Challenges.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Economics and Business

Megreladze Nino

Youth Employment Problems in European Union Countries

Master's program in Economics

The Thesis submitted for the degree of master of Economics

Supervisor: associate professor Tamaz Zubiashvili

Tbilisi 2020